# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 24 დეკემბერი, 2008 წელი.

№ 240 (6097)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




## გაიმართება თუ არა როდისმე საქართველოში რეალური დისკუსია ქვეყნის ბედის შესახებ?

4



## საქართველოს არმია ომისთვის მზად არ იყო

8

## თუკი ხელისუფლება ოპოზიციას გაღაასწრებს

3



## გზები, რომლებსაც ნავთობი ირჩევს

7

## „წინ წყალი, უკან მეწყერი“

6





სალომე ზურაბიშვილი:

## ევროპაში იმაზეც ფიქრობენ, რომ დამკვირვებლები საქართველოდან გაიყვანონ

3

დავით აფრასიძე:

## აშშ-სა და საქართველოს შორის ჩარჩო-ხელშეკრულების გაფორმებას ყველა შემთხვევაში უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება

2





## „მითხარით, როდემდე შეიძლება ლოდინი?“

უკანონობამ ყველა მიჯნას გადააბიჯა

7

## ინფორმაცია

### რუსეთს მოუწოდებენ...

**ამერიკის შეერთებული შტატები შეწუხებულია საქართველოში ეუთოს მისიის მუშაობაზე რუსეთის მიერ ვეტოს დადებით.**

ვაშინგტონს მიაჩნია, რომ რეგიონში დაძაბულობისა და მძიმე ჰუმანიტარული მდგომარეობის გათვალისწინებით, რუსეთის გადაწყვეტილების გამართლება ძნელია.

ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთს, ეუთოს დანარჩენ წევრებს შეუერთდეს, რათა მისიას რეგიონში მნიშვნელოვანი საქმის შესრულების საშუალება მიეცეს, — ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.



აქვე აღნიშნულია, რომ დანარჩენი საერთაშორისო თანამეგობრობის საწინააღმდეგოდ რუსეთი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მისიის მანდატი მოსკოვის მიერ სამხრეთ ოსეთის აღიარების შესაბამისად შეცვლილიყო.

აშშ-მ, ევროკავშირმა და დიდმა შვიდეულმა კი ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება დაგმეს და ეუთოს დანარჩენმა წევრებმაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღიარეს, — ნათქვამია განცხადებაში.

### ეუთოს მისია გვტოვებს?

**საქართველოში ეუთოს მისიის მანდატის გაგრძელებაზე რუსეთის მიერ ვეტოს დადების გამო ავსტრიის ევროპისა და საერთაშორისო საქმეთა მინისტრმა მიხაელ შპიდელეგერმა სინანული გამოთქვა. ამის შესახებ „რია ნოვოსტი“ იუწყება.**

ჟენევაში საქართველოსა და რუსეთს შორის ახალი, იმედისმომცემი დიალოგის შემდეგ ეს უკან გადადგმული პირველი ნაბიჯია, რომელიც მწარე იმედგაცრუებას იწვევს, — განაცხადა ავსტრიელმა მინისტრმა.

მისივე თქმით, ეუთოს მისიის იძულებითი გაწვევა რეგიონში სტაბილურობას არ შეუწყობს ხელს. შპიდელეგერი მიიჩნევს, რომ ამით უპირველესად რუსეთი არ უნდა იყოს დაინტერესებული.

ამ საკითხში რუსეთისგან მეტ პრაგმატიზმსა და მოქნილობას ველოდი, — განაცხადა შპიდელეგერმა.

ამასთან, ავსტრია იმედოვნებს, რომ ეუთოს საბერძნეთის თავმჯდომარეობის პერიოდში საქართველოში ორგანიზაციის მუშაობასთან დაკავშირებით კომპრომისი მოიძებნება.

საქართველოში ეუთოს მისიის მანდატის შეწყვეტის გამო ევროკავშირი სინანულს გამოთქვამს. ევროკავშირის სახელით განცხადება საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა.

საგარეო უწყება იმედოვნებს, რომ საქართველოში ეუთოს მისიის თაობაზე დისკუსიები გაგრძელდება.

ევროკავშირს მიაჩნია, რომ ეუთო რეგიონში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, რეგიონში ორგანიზაციის მისიის მნიშვნელობაზე სარკოზი-მედვედევ-სააკაშვილის შეთანხმებაშიც არის აქცენტი გაკეთებული.

საქართველოში ეუთოს მისიის მანდატის გაგრძელების გადაწყვეტილებაზე რუსეთის მიერ ვეტოს დადების გამო სინანული გამოთქვეს შეერთებულმა შტატებმა და ავსტრიამ.

### კონდოლიზა უცნაურად აქიქქიკდა

**აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა აგვისტოს კონფლიქტის წინა პერიოდში საქართველოს ხელისუფლების ქმედებებს უპასუხისმგებლო უწოდა. ეს განცხადება რაისმა სააგენტო „ფრანს პრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.**

მისივე თქმით, საომარი აქცია ბუშის ადმინისტრაციისთვის სიურპრიზი არ ყოფილა.

მხედველობაში არ მაქვს ზუსტი დრო და ის, თუ როგორ ხდებოდა ეს ყველაფერი, მაგრამ ფაქტია, რომ ამ რეგიონში გარკვეული დროის განმავლობაში არასტაბილური ვითარება იყო. საქართველოში ჩემი გამგზავრება აგვისტოს მოვლენებამდე ერთი თვით ადრე მიზნად ისახავდა, გაგვერკვია, მივილებდით თუ არა საქართველოსგან პირობას, რომ აფხაზეთის წინააღმდეგ ძალას არ გამოიყენებდა, — აღნიშნა რაისმა.

### თვითიზოლაციისკენ გადადგმული ნაბიჯი

**ევროპული ინტეგრაციის კვლევის ცენტრის პრეზიდენტის ვასილ ჭყოიძის შეფასებით, ეუთოს მისიის საქართველოდან გასვლით რუსეთი სამხრეთ ოსეთში კრემლის მოქმედებების მხილებას გაურბის და ცდილობს, საერთაშორისო საზოგადოებამ არ იცოდეს სიმართლე ცხინვალის რეგიონში არსებულ ვითარებაზე.**

ჭყოიძის აზრით, ამ ნაბიჯით რუსეთმა თვითიზოლაციისაკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა და არც ის კომპრომისული ვარიანტი მიიღო, რომლის თანახმადაც ეუთო რუსეთს ეუთოს ორი სადამკვირვებლო მისიის შექმნას დათანხმდა, რომლის ერთი ნაწილი ცხინვალში, ხოლო მეორე ნაწილი თბილისში იქნებოდა.

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ცდილობს სამხრეთ ოსეთში არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია არ შეუშვას, ცხინვალის რეგიონში კრემლის მონოპოლისტური ვითარება დიდხანს ვერ შენარჩუნდება და ადრე თუ გვიან ამ კონფლიქტურ რეგიონში საერთაშორისო ორგანიზაციები მაინც შევლენ.

**ინტერპრესნიუსი**

## ვინ ვინ არის...

# ინაშვილმა ახალი „პოლიტიკური ვირთხა“ აღმოაჩინა

**ჟურნალისტთა საერთაშორისო კავშირი „ობიექტივი“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს მისი პოლიტიკური წარსულისა და აწმყოს გამო „პოლიტიკურ ვირთხას“ უწოდებს.**

„ობიექტივის“ წარმომადგენლის ირმა ინაშვილის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ბაქრაძე 25 წლის ასაკში ედუარდ შევარდნაძის მთავრობის მაღალჩინოსანი იყო და, პარალელურად, აქტიურად თანამშრომლობდა სააკაშვილს გუნდთან, აქტიურად აწვდიდა საიდუმლო ინფორმაციებს.



ამ დამსახურების გამო, შევარდნაძის უშიშროების საბჭოს მაღალი რანგის ჩინოვნიკმა დავით ბაქრაძემ ადგილი ახალი ხელისუფლების წიაღშიც მოიპოვა, — ნათქვამია ინაშვილის განცხადებაში.

მისივე აზრით, ბაქრაძე საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფის აბსურდული ინიციატივით გამოდის, რათა შექმნას დემოკრატიულობის ილუზია.

მას სურს, ხელი შეუწყოს სააკაშვილის მკვდარი რეჟიმისთვის დარჩენილი წუთების გახანგრძლივებას, — ნათქვამია განცხადებაში.

ინაშვილის აზრით, დავით ბაქრაძე შეგნებულად ატყუებს ქართველ ხალხს, როცა აცხადებს, რომ საქართველო ნატოში მაპ-ის გვერდის ავლით გაწევრება და მაპი, თურმე, „ზედმეტად პოლიტიზებული ინსტიტუტია“.

ბაქრაძე სააკაშვილის რეჟიმის დაკვეთას ასრულებს და არ ჰყოფნის გამბედაობა, პირდაპირ უთხრას საზოგადოებას, რომ ნატოში საქართველოს გაწევრების პერსპექტივა საქართველოს ხელისუფლებამ აგვისტოს ომის შემდეგ სამუდამოდ დამარხა, — აღნიშნულია ინაშვილის განცხადებაში.

ინაშვილი სასაზღვრო პოლიციის მონაცემებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ბაქრაძე აგვისტოს მოვლენების დღეებში არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

**ინტერპრესნიუსი**

## განსჯა

# დავით აფრასიძე: აშშ-სა და საქართველოს შორის ჩარჩო-ხელშეკრულების გაფორმებას ყველა შემთხვევაში უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება

**აშშ-სა და საქართველოს შორის ჩარჩო-ხელშეკრულების გაფორმების პოლიტიკურ მნიშვნელობაზე და იმაზე, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ რამდენად უფრო უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს უსაფრთხოება და ასევე, საქართველოს მიმართ რუსეთის მხრიდან კიდევ ერთი აგრესიის შესაძლებლობაზე ინტერპრესნიუსი პოლიტოლოგ დავით აფრასიძეს ესაუბრა.**

**— ბატონო დავით, რას შეიძლება ნიშნავდეს საქართველოსთვის აშშ-სა და საქართველოს შორის ჩარჩო-ხელშეკრულების გაფორმება?**

— რაც არ უნდა ეწეროს აშშ-სა და საქართველოს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის დოკუმენტში, მას ყველა შემთხვევაში ძალიან დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება, იმიტომ რომ ეს გარკვეულწილად საქართველოსთვის უსაფრთხოების გარანტია იქნება. თუმცა, ვიდრე დეტალები ცნობილი არ არის, ამაზე საუბარი რთულია.

**— იმის გათვალისწინებით, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთი აგრესიულ აქტიურობას ავლენს, რამდენად სერიოზული ინსტრუმენტი შეიძლება აღმოჩნდეს ეს ხელშეკრულება საქართველოსათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით?**

— იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ჯერ არ ვიცით, რა დეტალებზე მსჯელობენ მხარეები დოკუმენტზე მუშაობისას, ძნელია იმაზე საუბარი, თუ რამდენად უფრო დაცული იქნება საქართველო ამ ხელშეკრულების აშშ-სთან გაფორმების შემდეგ. აშშ-სა და საქართველოს შორის ჩარჩო-ხელშეკრულების გაფორმებას ყველა შემთხვევაში უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება, ვინაიდან კავკასიის რეგიონის პატარა სახელმწიფო საქართველოსთან ხელშეკრულებას ისეთი დიდი სახელმწიფო გააფორმებს, რომლის ჰეგემონია თანამედროვე მსოფლიოში უდავოა.

დოკუმენტზე მუშაობის დასრულების შემდეგ ცხადი გახდება, რამდენად უფრო დაცული იქნება საქართველო გარე საფრთხეებისგან.

**— აშშ-ს მხრიდან ამგვარი ხელშეკრულების გაფორმება ნიშნავს თუ არა იმას, რომ ვაშინგტონი მოსკოვს კავკასიაში ვითარებასთან დაკავშირებით საკმაოდ მკაფიო მესიჯს აძლევს და რომ საქართველოში არსებული სტატუს-კვო აშშ-ს ინტერესებში არ შედის?**

— ამ ხელშეკრულების გაფორმება თავისთავად წონადი პოლიტიკური ნაბიჯია ამერიკის მხრიდან და იგი მნიშვნელოვანი ნიშანია არა მარტო მოსკოვისთვის, არამედ დანარჩენი



მსოფლიოსთვის. ამ ხელშეკრულებით აშშ ერთმნიშვნელოვნად აფიქსირებს, რომ ვაშინგტონი დაინტერესებულია კავკასიის რეგიონით და აშშ-სთვის ამ რეგიონს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. სიგნალი საკმაოდ სერიოზულია და ყველაფერი მას შემდეგ გაირკვევა, როდესაც ხელშეკრულებაზე მხარეები კონსესუსს მიაღწევენ და საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის დეტალები ცხადი გახდება.

**— პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებით, ამ ხელშეკრულების გაფორმება-არგაფორმების საკითხი აშშ-ს მოქმედ და მომავალ ადმინისტრაციას შორის არის შეთანხმებული. გვაქვს თუ არა საფუძველი მყარად ვივარაუდოთ, რომ საქართველოსადმი დამოკიდებულებაში აშშ-ს პოზიცია ობამას პრეზიდენტობის პერიოდშიც იქნება უცვლელი?**

— ის, რომ თეთრი სახლის მიმავალი ადმინისტრაცია თავის მოქმედებას აშშ-ს ახალ ხელისუფლებასთან ათანხმებს, ეს ამ ქვეყნის ტრადიციაა და ჩვენს შემთხვევაში ეს ვერანაირად ვერ დაირღვეოდა.

ამ შეთანხმებისგან მე უფრო აშშ-სა და საქართველოს შორის ორმხრივი კულტურულ-ეკონომიკური და სხვადასხვა სახის ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას ველოდები, რაც, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს უსაფრთხოების საკითხებზე კიდევ უფრო მეტ ყურადღების გამახვილებას.

**— რამდენად შეიძლება გვქონდეს იმის იმედი, რომ ეკონომიკური კრიზისის ფონზე რუსეთის საგარეო პოლიტიკა მნიშვნელოვნად შეიცვლება?**

— თუ ვიხელმძღვანელებთ იმ არგუმენტით, რომ რუსეთმა საერთაშორისო ასპარეზზე თავისი აგრესიული პოლიტიკის გატარება იმის შემდეგ დაიწყო, რაც რუსეთი ეკონომიკურად მოძლიერდა, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკური კრიზისი კრემლის ამ გეგმებს შეაფერხებს.

თუ ჩავთვლით, რომ რუსეთი აგრესიული გახდა იმიტომ, რომ გადაეფარა ძალიან მნიშვნელოვანი შიდაპოლიტიკური თემები და მოახლოებული ეკონომიკური კრიზისი, მაშინ, სამწუხაროდ, უნდა ვივარაუდოთ, რომ რაც უფრო გამწვავდება კრიზისი, რუსეთი საერთაშორისო არენაზე კიდევ უფრო აგრესიული იქნება. საბოლოო ჯამში ეკონომიკური პრობლემები რუსეთს იქამდე მიიყვანს, სადამდეც საბჭოთა კავშირი მივიდა. ძნელია იმაზე საუბარი, რომ არსებობს რუსეთის დაშლის შესაძლებლობა, მაგრამ მას სერიოზულად მოუწევს დანარჩენ მსოფლიოსთან თავისი დამოკიდებულების გადახედვა. თუ ასე არ მოხდა, ცხადია, რომ რუსეთში ეკონომიკური კრიზისის გარდამავალი ეტაპი ძალიან რთული აღმოჩნდება რუსეთის მეზობლებისათვის.

**— აქტუალურ თემად რჩება, საქართველოს მიმართ რუსეთის კიდევ ერთ აგრესიასა და აგვისტოს მოვლენების სავარაუდო სცენარებზე მსჯელობა. ამგვარი შესაძლებლობა რეალურად არსებობს?**

— თუ რაციონალურობის თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, არა მგონია, რომ მოსალოდნელი იყოს რუსეთის მხრიდან კიდევ ერთი მსგავსი აგრესია, მაგრამ ასევე არარაციონალური იყო ის, რაც აგვისტოში მოხდა. ერთმნიშვნელოვნად რაიმეს მტკიცება ძნელია, მაგრამ გამორიცხული რომ ნამდვილად არაფერია, ცხადია.

**კობა ბენდელიანი**

ოპოზიცია

*„საქართველოს გზის“ ლიდერმა აგვისტოს ომის შემდეგ უკვე მეორედ მოიარა ევროპა და ამერიკაშიც იყო, სადაც არაერთი საქმიანი შეხვედრა გამართა. საქართველოში ჩამოსვლისთანავე კი ოპოზიციურ სპექტრთან აწარმოებს მოლაპარაკებებს ერთიანი საერთო სტრატეგიის შესათანხმებლად, რომელსაც საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მოცილება ჰქვია.*

*ინტერვიუს ჩასაწერად სალომე ზურაბიშვილს შინ დილის 11 საათზე ვეწვიე, თუმცა მაინც ლოდინი მომიხდა, რადგან უკვე აძლევდა ინტერვიუს ერთ-ერთ ქართულ გაზეთს.*

*დრო მოვიდა და ჩვენი საუბარიც დაიწყო...*

## სალომე ზურაბიშვილი:

# ევროპაში იმაზეც ფიქრობენ, რომ დამკვირვებლები საქართველოდან გაიყვანონ

### „საქართველოს გზის“ ახალი გზა



**— ქალბატონო სალომე, ასე ადრიანად იწყებთ ჟურნალისტებთან ურთიერთობას, ალბათ, უკვე დაიღლებოდით კიდეც?**

— არა, რა დავიღალე, პირიქით, ახლა ვარ ენერგიით სავსე.

**— სანამ თქვენს საბრძოლო განწყობაზე ვისაუბრებთ, მინდა, საქართველო-ამერიკას შორის ჩარჩო-ხელშეკრულებაზე გკითხოთ. როგორც ამბობენ, ეს ითვალისწინებს სამხედრო, პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ სფეროში თანამშრომლობას. ამავე დროს ლაპარაკია საფრთხეზეც, რომელიც შესაძლოა მას მოჰყვეს...**

— მე გახლდით ამერიკაში, თუმცა იქ არავის არაფერი უთქვამს ამის შესახებ. რასაც ახლა ამზადებს ძველი ადმინისტრაცია, ახალს უტოვებს მემკვიდრეობით. დიპლომატიურ ისტორიაში არ გამიგია, ხელშეკრულება მზადდებოდეს ერთ კვირაში, ჩუმად, საზოგადოებისთვის გაუგებარ სიტუაციაში. ასეთი დაძაბული ურთიერთობის დროს, შეიძლება ამ ხელშეკრულებამ კიდევ უფრო გაამწვავოს ვითარება რუსეთთან.

არ ვიცი, რამდენად ულირს ამ ხელისუფლებას, რომ ახლა, ასეთ დროს იყოს მიღებული ასეთი ხელშეკრულება. მე არც წინააღმდეგი ვარ და არც მომხრე, ჯერ სანახავია, რა შეთანხმებაა ეს. ზოგადად, კარგია მეგობრობის ხელშეკრულება, ვისთანაც არ უნდა იყოს ის დადებული. მაგრამ ასეთ პირობებში მომზადებული, ეს რაღაც უაზრობა გამოდის, ან პროვოკაცია.

ნათელია, ეს არის აქცენტის გადატანა მთავარიდან სხვა რამეზე. მთავარია, რომ ქვეყნის შიგნით ლაპარაკი არ იყოს იმაზე, თუ რა ხდება აქ, როგორ ილუპება საქართველო და რამდენად არის დამნაშავე ხელისუფლება ამ ყველაფერში, რომ ის უნდა იყოს დასჯილი და დროულად გასული თამაშიდან. ამის მაგივრად, მუდმივად ვართ მოლოდინში, რომ რუსეთი შემოვა, ამერიკა დაგვეხმარება... ამით ვართ გაბრუებული და არ ვფიქრობთ ჩვენს თავზე, მთავარზე. მთავარი კი ის არის, რომ ეს ხელისუფლება უკვე დამთავრებულია, მან ამოწურა ქვეყნის გადარჩენის ყველა შესაძლებლობა, მას საამისოდ არავითარი რესურსი არ გააჩნია. კადრებზე რომ არაფერი ვილაპარაკო, მას არ გააჩნია ნდობა საზოგადოებაში, მეტიც, ის ქვეყნის „უცხო სხეულია“.

**— რას ამბობენ დასავლეთში?**

— საერთოდ არ არის მხარდაჭერა. მეთიუ ბრაიზა განიხილება, როგორც ამ ხელისუფლების ნაწილი, ამიტომ მისი მხარდაჭერა არაფერს ნიშნავს.

**— ბრაიზა რჩება ახალ ადმინისტრაციაში?**

— არ რჩება, მიდის. ევროპაშიც და ამერიკაშიც საქართველოს ხელისუფლების მიმართ ნდობა დაქვეითებულია, შელახულია, კიდევ კარგი, ეს არ არის ზოგადად საქართველოს მიმართ, თუმცა თუ ასე გაგრძელდება, ეს გავრცელდება საქართველოზეც.

ქვეყანამ რამე სასიკეთოს გაკეთების ყველა შანსი დაკარგა. მათ შორის ეკონომიკური თვალსაზრისით, ვინაიდან ესენი ამბობენ, ქვეყანაში დესტაბილიზაციის საფრთხე არსებობსო და ისტერიკაა ატეხილი საომარ მდგომარეობაზე, ინვესტორიც არ შემოდის. პრივატიზაცია კი მაინც გრძელდება. ომის დროს სერიოზული ინვესტორი ხომ არ შემოვა, თუ არა ისევ რუსები?

**— რეალურად საფრთხე არ არსებობს და ეს მხოლოდ შანტაჟია?**

— ამ ხელისუფლების პირობებში არაფერია გამორიცხული. რაღაც მომენტში თუ გადაწყვიტეს, რომ ძალაუფლების შესანარჩუნებლად ეს გზაა საჭირო, ასეც მოხდება. ერთხელ ხომ დაიწყეს? მეორედაც დაიწყებენ! ომის აცილება მაშინაც შეიძლებოდა, ახლაც შეიძლება, თუ ჩვენ ავირჩევთ სხვა გზას. ამიტომ ვამბობ, ქვეყანა მისულია გადარჩენა-არგადარჩენის ზღვარზე. ჩვენ ამ ქვეყანას მოვაშორებთ ხელისუფლებას...

**— და გადავრჩებით?**

— გადავრჩებით, მაგრამ, მთავარია, როგორ გადავრჩებით. მე არ ვამბობ, რომ ეს იქნება „ია-ვარდების გზა“. ჩვენ ისე ვართ ჩიხში შესული, რომ იქიდან გამოსვლა რთულია. ან რატომ უნდა იყოს მარტივი? ვინმეს ჰგონია, რომ ამდენი შეცდომისა და დანაშაულის შემდეგ, შეიძლება ამ მდგომარეობიდან უმტკივნეულოდ გამოსვლა?!

**— ქალბატონო სალომე, თქვენ ომის შემდეგ რამდენიმედღიანი ვიზიტით იმყოფებოდით ევროპაში, იქიდან დაბრუნებული ასეთი კატეგორიული არ იყავით, პირიქით, ხელისუფლებისთვის „ჩრდილოვანი კაბინეტის“ შეთავაზებას აპირებდით, ახლა რა მოხდა?**

— მაშინ, „ჩრდილოვანი კაბინეტის“ შეთავაზება, ეს იყო მოსინჯვა, კიდევ თუ იყო პატარა „სინათლე“ ამ ხელისუფლებაში. ომში დამარცხების შემდეგ ეს იყო ერთადერთი გამოსავალი.

წელიწადნახევრის წინათ კრიზისიდან გამოსვლის გზა იყო არჩევნები. არჩევნებმა ვერაფერი შეცვალა იმიტომ, რომ გააყალბეს. კრიზისი გამწვავდა, გაღვივდა და მივედით ომამდე. კრიზისიდან გამოსავალი გახდა ომი. ომიდან გამოსავალი იქნებოდა ყველა პოლიტიკური ძალის გაერთიანება, რათა შეგვემუშავებინათ ერთიანი გზა. ეს გზაც არ გამოინახა.

**— ანუ ხელისუფლება თქვენს ინიციატივას არ გამოეხმაურა?**

— არა, არც დაინტერესებულა, არც შუამავალი პირი მოუძებნიათ, რომ ამ თემაზე დიალოგი დაწყებულიყო. ეს ნიშნავს იმას, რომ მათთვის პირველი არის ძალაუფლება, მეორე — ქვეყანა. ჩემი დასკვნით, ასეთ დროს, ხელისუფლება რაც შეიძლება მალე უნდა გავიყვანოთ თამაშიდან.

დღეს უკვე დღითი დღე ვკარგავთ საერთაშორისო მხარდაჭერას, ასევე დახმარებებსაც.

ევროპაში იმასაც კი ფიქრობენ, რომ ევროკავშირის დამკვირვებლები გაიყვანონ, რაც მიმაჩნია, რომ ერთადერთი წარმატება იყო ომის შემდეგ. იქ დავიწყე იმის მტკიცება, რომ ეს მათთვის არ იქნება კარგი და ა. შ. თუმცა ყველაფერი ეს არის იმის შედეგი, რომ ევროკავშირი ამ ხელისუფლებამ გააღიზიანა. ხან ამბობენ, ამერიკამ გადაგვარჩინაო, ხან პოლონეთის პრეზიდენტმაო და არ აღნიშნავენ ევროკავშირის წვლილს.

**— კონკრეტულად ვის შეხვდით ევროპასა და ამერიკაში და რაზე ისაუბრეთ?**

— არა აქვს მნიშვნელობა, ვის შევხვდი, სად შევხვდი, ვისგან გვაქვს მხარდაჭერა...

იხ. 4 გვ.

პარტიებსა და მოძრაობებში

# თუკი ხელისუფლება ოპოზიციას გადაასწრებს

**ქართველი პოლიტოლოგების დასკვნით, ირაკლი ალასანია ვერასდროს ვერ იქნება ქარიზმული ფიგურა, უამისოდ კი ჩვენში ოპოზიციის ლიდერობა შეუძლებელია. სხვა ამბავია, როგორ უყურებენ ქარიზმულობას ევროპაში. ევროპელი პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ თუ საზოგადოება ქარიზმულობაზეა ორიენტირებული, ის ჯერ დემოკრატიისთვის მზად არ არის. ასეა თუ ისე, ოპოზიციის ნაწილი დარწმუნებულია, რომ ალასანია საკმაოდ სერიოზული ლიდერი იქნება.**

ცხადია, ოპოზიციას სჭირდება ადამიანი, რომელიც თავიდან მოიპოვებს ხალხის ნდობას. ამ მხრივ ბურჯანაძესაც აქვს გარკვეული პოტენციალი, თუმცა მის კრიტიკულ განცხადებებს ბევრი სკეპტიკურად შეხვდა. ირაკლი ალასანიასთან თანამშრომლობისთვის მზადყოფნა ბურჯანაძემაც გამოთქვა.

პოლიტიკური პარტიები ერთმანეთის მიყოლებით აცხადებენ ალასანიასთან თანამშრომლობის სურვილს. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურები მემარჯვენეები და რესპუბლიკელები არიან, რომელთა გაერთიანების მთავარი მიზეზი სწორედ ირაკლი ალასანია გახდა. თუმცა, ექსპერტთა ნაწილის აზრით, ეს გაერთიანება სრულიად ლოგიკურია და ეს ადრეც უნდა მომხდარიყო. ბევრს მიაჩნია, რომ თავისი ინტელექტუალური პოტენციალით სწორედ მემარჯვენეებს და რესპუბლიკელებს ძალუძთ, ქართულ საზოგადოებას პოლიტიკური ცხოვრების უფრო მაღალი ნიშნული შესთავაზონ. თუმცაღა, ამ ორი პარტიის მისამართით იმასაც ამბობენ, მათ გამოკვეთილი იდეოლოგია არა აქვთ, რომელიც, სწორედ რომ, მათი სამარკო ნიშანი იქნებოდაო.

უნდა ითქვას, რომ ჩამოყალიბებული იდეოლოგიით ჩვენში თითქმის არც ერთი პარტია არ გამოირჩევა. დასავლური ორიენტაცია და ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების დეკლარირება ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ამა თუ იმ პარტიას კონკრეტული იდეოლოგია და სახელმწიფოებრივი მოწყობის კონკრეტული პროექტი აქვს.

რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქვეყანაში, სადაც ტერიტორიული მთლიანობა ასე დარღვეულია, მონარქიის აღდგენის საკითხზე კვლავ ალაპარაკდნენ. ამას წინათ გაიმართა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა დევიზით „შევცვალოთ პოლიტიკური სისტემა“. ედპ საქართველოს ხელისუფლებას სთავაზობს, ქვეყანა პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებისა და გარდამავალ ეტაპზე კონსტიტუციურ მონარქიაზე გადასვლის საფუძვლებისთვის მოამზადონ. მათი აზრით, მონარქიის აღდგენის პროცესი რომ დაიწყოს, ამით საერთო ეროვნულ შეთანხმებას მივაღწევთ. მოგეხსენებათ, კონსტიტუციური მონარქიის დროს ქვეყნის მმართველობის მთავარი ინსტიტუტი პარლამენტი იქნება და არა პრეზიდენტი. მაგრამ ჩვენ პარლამენტარიზმის წლებიც გვახსოვს, სადაც ყოველ დღეს მუშტი-კრივი იმართებოდა და საბოლოოდ გადაწყვეტილებები მიუღებელი რჩებოდა.

ვადამდელ არჩევნებს რაც შეეხება, პრეზიდენტმა ღიად თქვა, რომ ქვეყანას არჩევნებისთვის ფული არ აქვს. მოგეხსენებათ, ოპოზიციის დიდი ნაწილი ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას ითხოვს. საინტერესოა, რომ არჩევნების ჩატარების აუცილებლობაზე თვით ნაციონალური მოძრაობის წევრებიც ალაპარაკდნენ. მაგალითად, ყოფილი პარლამენტარი, ნაციონალური მოძრაობის წევრი ალეკო შალამბერიძე მიიჩნევს, რომ პარლამენტი არსებულ რეალობას არ ასახავს. პოლიტიკური პარტიების ნაწილმა, რომლებმაც არჩევნებში გაიმარჯვა, ბოიკოტი გამოაცხადა და პარლამენტში არ შევიდა. ეს საშიშროება, რომ პარლამენტში მოსახლეობის განწყობა არ არის ასახული, ალეკო შალამბერიძის აზრით, ახალი არჩევნების ჩატარების შემდეგ დაძლეული იქნება. მისი თქმით, ნაციონალურმა მოძრაობამ, ანუ ხელისუფლებამ ოპოზიციას უნდა გადაასწროს, ხელახალი არჩევნები გამოაცხადოს — გაზაფხულისთვის კარგი საარჩევნო კანონი მიიღოს, არჩევნები კი შემოდგომაზე დანიშნოს.

როგორც აღვნიშნე, არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით ხელისუფლება სხვა მოსაზრებისაა, საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლის საწინააღმდეგო კი მათაც არაფერი აქვთ. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, საარჩევნო კანონმდებლობა კიდევ ერთხელ შეიცვლება. ამისთვის შეიქმნება ჯგუფი, რომელშიც საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიცია ჩაერთვება.

შეგახსენებთ, რომ ოპოზიცია საარჩევნო ადმინისტრაციის პარიტეტულ საწყისებზე დაკომპლექტებას ითხოვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციაში ოპოზიცია და ხელისუფლება თანაბარი რაოდენობით უნდა იყვნენ წარმოდგენილი. ვნახოთ, შედგება თუ არა ამ მხრივ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის რეალური თანამშრომლობა.

**მზია გელენავა**

**გზად მომავლისკენ**

# გაიმართება თუ არა როდისმე საქართველოში რეალური დისკუსია ქვეყნის ბედის შესახებ?

**I.**

საქართველოში ერთობ უცნაური და, შეიძლება ითქვას, პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა საგარეო-პოლიტიკური თემების განხილვასთან დაკავშირებით. ოფიციალური პროპაგანდა, რომელმაც ბოლო ხანს ისტერიული ხასიათი მიიღო, უკვე მრავალია წელია ამკვიდრებს სტერეოტიპს, თითქოს საქართველოს მოსახლეობა ერთსულოვნად უჭერს მხარს „დასავლურ არჩევანს" და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრებას. ამ პროპაგანდის შედეგად საზოგადოების საგრძნობი ნაწილი მართლაც მოექცა „ამერიკის ქოლგის ქვეშ ბედნიერი მომავლის" ილუზიების ტყვეობაში. შეიძლება ესეც იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ პოლიტიკური პარტიები ვერ ბედავენ ღიად გამოხატონ თავიანთი პოზიციები საგარეო პოლიტიკის და ორიენტაციის საკითხებთან დაკავშირებით, რადგან ეშინიათ „კრემლის აგენტის" და „მოღალატის" იარლიყის მიწებებისა ხელისუფლების მხრიდან. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აშშ-ს ჩარევა საქართველოს შიდა პოლიტიკურ სიტუაციაში ყოველგვარ ზღვარს გადასცდა: ამ ქვეყნის საელჩო თუ სამთავრობო ან არასამთავრობო სტრუქტურები ცდილობენ პირდაპირ გააკონტროლონ ქართული პარტიები, მათზე ზემოქმედებენ „მათრახის და თაფლაკვერის" ცნობილი პოლიტიკის საშუალებით.

შედეგად მხოლოდ პოლიტიკური სივრცის მარგინალები ბედავენ დროგამოშვებით „სკანდალური" განცხადებების გაკეთებას ნატოში გაწევრების კურსის დამღუპველობაზე. მაგრამ ეს განცხადებები ან შეუმჩნეველი რჩება, ან კომიკურ ხასიათს იძენს ხოლმე, ძირითადად მათი ავტორების პოლიტიკური მარგინალობის და არასერიოზული იმიჯის გამო. ამით მოგებული ისევ ხელისუფლება რჩება, რომელიც ამგვარი „ანტინატოური" აქტიურობისგან დამატებით ქულებს იწერს და დისკრედიტაციას უწევს მათთვის და მათი პატრონებისთვის მიუღებელ იდეას. მხოლოდ ამ ბოლო დროს, როცა ნელ-ნელა ჩაცხრა სამთავრობო წრეების მიერ ორგანიზებული რუსოფობიული ისტერია, ზოგიერთმა პოლიტიკურმა ძალამ თავისი პოზიციების უფრო მკაფიოდ გამოხატვა დაიწყო.

ეს პირველ რიგში ეხება ლეიბორისტულ პარტიას, რომლის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა ამ ცოტა ხნის წინათ ღიად განაცხადა ნატოში საქართველოს „შეთრევის" კურსის მიუღებლობის თაობაზე. აქამდე მსგავსი განცხადებები თითქმის არ კეთდებოდა, თუმცა ლეიბორისტებს ყოველთვის გარკვეულწილად „პრორუსული" იმიჯი ჰქონდათ. მართალია, ბ-ნ შალვას ჯერჯერობით არ ეთმობა ქართულ პოლიტიკაში უკვე ტრადიციად ქცეული და ლამის სავალდებულო რიტუალი რუსეთ-საქართველოს მტრებად მოხსენიებისა, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც მოუწოდა ჩრდილოელ მეზობელთან კავშირების აღდგენისკენ, მათ შორის — ეკონომიკის სფეროში. ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა „ჩრდილოეთ-სამხრეთის" სატრანსპორტო დერეფნის საკითხის დაყენება, რომელიც რუსეთს საქართველოს და სომხეთის გავლით ირანს და ინდოეთის ოკეანის სანაპიროს დაუკავშირებდა.

ჯერჯერობით მკაფიო პოზიციებს არ აფიქსირებენ ქართული პოლიტიკური სპექტრის სხვა მონაწილეები. როგორც ჩანს, ისინი სააკაშვილის რეჟიმსა და აშშ-ს ახალ ადმინისტრაციას შორის არცთუ თბილი ურთიერთობის დამყარებას ვარაუდობენ და აქედან გამომდინარე, ამერიკელთა თვალში „არასასურველ ელემენტად" წარმოჩენას გაურბიან, რათა არ გაუშვან შანსი რეჟიმის ცვლილებაში მონაწილეობა მიიღონ, რაც, მათი აზრით, მხოლოდ ვაშინგტონს ძალუძს. ამასთან, გარკვეულ პარტიებს მწარე გამოცდილებაც აქვთ: როცა 2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ რამდენიმე მორიდებული, მაგრამ მაინც „ანტიამერიკული განცხადება" გაკეთდა გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლების მხრიდან, ხელისუფლებამ ეს, სხვა ფაქტორებთან ერთად, კარგად გამოიყენა ოპოზიციისავე დასასუსტებლად საპარლამენტო არჩევნების წინ.

ამჟამად ოპოზიციური ძალების დაჩქარებული გადაჯგუფება მიმდინარეობს. სააკაშვილის მიერ ხელისუფლების შენარჩუნების შანსები თვალდახელშუა მცირდება, მიუხედავად მასირებული პროპაგანდისა და რუსოფობიის გაღვივებისა, რათა სამთავრობო პოლიტიკის კატასტროფული შედეგები მტრის ხატით გადაიფაროს. სულ უფრო რეალურ კონტურებს იძენს ჭორები თუ მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ აშშ ამზადებს რეჟიმის მორიგ შეცვლას საქართველოში. სააკაშვილის მიმართ მკვიდრდება გაუწონასწორებელი და შეურაცხადი პიროვნების იმიჯი. ამასთან, დაკავშირებით მუსირებს პარლამენტის ექსსპიკერ ბურჯანაძის და გაეროში საქართველოს აწ უკვე ყოფილი ელჩის ალასანიას სახელები. ამასთან, ამ უკანასკნელის რეიტინგი გაცილებით მაღალია „ვარდების რევოლუციის გმირის" ყოფილ თანამებრძოლთან შედარებით. საზოგადოებაში მწიფდება ახალი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების მოლოდინი. სახელდება სავარაუდო დროც — 2009 წლის გაზაფხული. შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილს თითქმის არ გააჩნია რესურსი აშშ-ის დაწოლის წინააღმდეგობის გასაწევად, თუკი ასეთი რამ იქნა. პირველ ყოვლისა იმის გამო, რომ ომის შემდეგ ეკონომიკა მთლიანად დანგრეული აღმოჩნდა და მისი ფუნქციონირების შენარჩუნება მხოლოდ იმავე აშშ-ისა და ევროკავშირის გრანტებით/კრედიტებითაა შესაძლებელი, ხოლო კერძო ინვესტიციების მოზიდვა არარეალურია. თუმცა სააკაშვილის ავანტიურიზმი, ძალაუფლების წყურვილი და ხელისუფლებიდან წასვლის შიში შესაძლოა მისი მხრიდან არაპროგნოზირებადი ქმედებების საფუძველი გახდეს.



იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის პოლიტიკური წრეები საბოლოოდ გადაწყვეტენ დღევანდელი პრეზიდენტის შეცვლას უფრო ადეკვატური პერსონით და მიიყვანენ კიდეც ბოლომდე ამ საქმეს, საქართველო მიიღებს კიდევ ერთ მარიონეტულ ხელისუფლებას, ყოველ შემთხვევაში, პირველ ხანებში. ირაკლი ალასანიას უცნაურად მაღალი რეიტინგი, ადამიანისა, რომელმაც ჯერჯერობით მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომებზე ინგლისურად დაწერილი განცხადებების წაკითხვით „გამოიჩინა" თავი, იძლევა ვარაუდის საშუალებას, რომ „უხილავი ხელი" უკვალავს მას გზას ხელისუფლებისკენ. როგორც ჩანს, სააკაშვილიც მშვენივრად ხვდება ამას, რასაც მოწმობს ალასანიას მიერ ელჩის თანამდებობიდან გადადგომის განცხადების და მორიგი სამთავრობო გადანაცვლებების დროში დამთხვევა, როცა ახალდანიშნულმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ყველა ელჩის განთავისუფლება გამოაცხადა, თუმცა მაშინ ამის უფლება მას არც ჰქონდა.

იხ. 6 გვ.

**ოპოზიცია**

# სალომე ზურაბიშვილი: ევროპაში იმაზეც ფიქრობენ, რომ დამკვირვებლები საქართველოდან გაიყვანონ

(მესამე გვერდიდან)

**— ეს ნდობის გამო, უფრო დამაჯერებელი რომ იყოს თქვენი მონაყოლი მკითხველისთვის...**

— თუ არ მენდობიან, კარგად იყვნენ. არ მჭირდება ყალბი ნდობა, ჩემდამი ნდობა იმისგან კი არ უნდა მოდიოდეს, მე სარკოზის შევხვდი, ბუშს თუ ბლერის, ნდობა უნდა იყოს იმის მიხედვით, თუ რას ვაკეთებ.

ყოველივე იმის მიხედვით უნდა ვიმოქმედოთ, თუ რა სჭირდება ქვეყანას. უნდა წავიდეს ეს ხელისუფლება და უნდა მოვიდეს განსხვავებული ხედვის ძალა და ადამიანები.

**— თქვენ ხვდებით ოპოზიციას, რამე განსხვავებული აღმოაჩინეთ მათში თუ... ისეთივე ვითარებაა, რაც წელიწადის წინათ იყო?**

— დიახ, ვხვდები როგორც ოპოზიციურ ძალებს, ისე საზოგადოებრივ გაერთიანებებს, მაგრამ არა იმისთვის, რომ ჩემს გარშემო გაერთიანდნენ, პირიქით, მაინტერესებს მათი აზრი. ჩვენ აუცილებლად იმ აზრამდე უნდა მივიდეთ, რომ ეს ხელისუფლება წავიდეს. ეს არ ნიშნავს გაერთიანებას, პირიქით, ყველას განსხვავებული პროგრამა უნდა ჰქონდეს.

კიდევ კარგი, დღეს ქვეყანა შეცვლილია და არ არის ხელისუფლების დაკვეთა, რომ სისტემა იყოს ერთპარტიული. მე არც მაშინ ვიყავი გაერთიანების მომხრე.

**— ე. ი. თქვენი ყოფნა გაერთიანებულ ოპოზიციაში იძულებითი ნაბიჯი იყო?**

— დიახ, ნამდვილად იძულებული ვიყავი იმიტომ, რომ მაშინ ასეთი იყო საზოგადოების დაკვეთა. და ეს არ იყო სწორი. ჩვენ უნდა ვიყოთ ერთადერთი მიზნისთვის — საქართველოს გადარჩენა და ამ ქვეყნისთვის ხელისუფლების მოცილება.

**— ეს ორი მიზანი არ გამოდის?**

— არა, ეს ერთი და იგივეა. თუ ეს ხელისუფლება არ წავა, ქვეყანაც ვერ გადარჩება. თუ ცოტა ხანს კიდევ დარჩებიან, მალე ეს ქვეყანა არ იარსებებს.

ამასთანავე, ყველა პარტიამ უნდა ჩამოაყალიბოს ხედვა, როგორ, რა გზით აპირებს ქვეყნის ხსნას. ლაპარაკობენ ალასანიას გამოჩენაზე, ბურჯანაძეზე, ნოღაიდელზე. არავინ არ მაწუხებს, არ მიშლის ხელს. იყოს ბევრი ლიდერი, კონკურენცია და ხალხს მიეცეს რეალური არჩევანის უფლება.

**— დავუშვათ, დაინიშნა არჩევნები...**

— არა, არავითარი დავუშვათ. გაზაფხულზე არჩევნები აუცილებლად იქნება.

**— მაგრამ სააკაშვილმა გადაჭრით თქვა, რომ — არა?**

— მით უფრო კარგია, სააკაშვილი თუ ხშირად გაიმეორებს იმას, რომ არჩევნებს არ დანიშნავს, ეს ნიშნავს, რომ მას ეშინია.

**— თქვენ ამბობთ, რომ ქვეყნის ხსნის გზა იქნება რთული და ეკლიანი. ხელისუფლებას თუკი ამის რესურსი არ აქვს, ოპოზიცია როგორ შეძლებს?**

— ესენი წავლენ. არჩევნები დაინიშნება, ხოლო საარჩევნო კამპანიისთვის მზადების პერიოდი იქნება გარდამავალი. ამ დროს ყველა გამოაქვეყნებს თავის პროგრამას. ჩემი აზრით, ქვეყნის ხსნისათვის უპირველესი გასაკეთებელია — სასამართლო გავხადოთ დამოუკიდებელი.

**— საგარეო კუთხის მხრივ რა შეიცვლება?**

— საგარეო ურთიერთობა მთავარი არ არის, ჯერ ქვეყანა უნდა გახდეს დემოკრატიული.

ჩვენ არც ვიცით, ქვეყნის რა ნაწილია გაყიდული ყალბი ხელშეკრულებების საფუძველზე. ამას ობიექტური სასამართლო გადაწყვეტს, ხოლო სხვა დანარჩენი, მოლაპარაკების გზით არის მოსაგვარებელი.

**— არის კი დემოკრატიული და დემოკრატიული ღირებულებების ხორცშესხმისთვის მზად თავად ოპოზიცია?**

— იქნება მზად, თუ ამომრჩეველი იქნება მზად. ამომრჩეველმა უნდა მოსთხოვოს არჩეულს დანაპირების შესრულება. მანდატს იმიტომ აძლევს, რომ რასაც დაჰპირდნენ, შეასრულონ. თუკი ამას ვერ შეასრულებს, ისევ არჩევნები იქნება. შეიძლება მოხდეს ისეც, რომ გვქონდეს პერიოდი, როდესაც არჩევნები ხშირად დაგვჭირდება...

**— და მილიარდნახევარი ვხარჯოთ?**

— თუ არჩევნები არ გაყალბდება, მილიარდიც არ დასჭირდება!

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

პირველად ქართულად

# ბარაკ ობამა

# „იმედის შემართება“

## რამდენიმე ამონარიდი იმ კაცის წიგნიდან, რომელსაც შეუძლია ამერიკისა და მთელი მსოფლიოს შეცვლა

– საკმარისია, გადაუხადო ორი ან სამი დოლარი რომელიმე ბიჭს და ის ჩადებს ბომბს, სადაც საჭიროა, – თქვა ერთ-ერთმა ოფიცერმა. – ეს აქ დიდი ფულია.

საღამოს პატარა ნისლი გამოჩნდა, რომელმაც დააყოვნა ჩვენი გაფრენა კირკუკში. სანამ ველოდებოდით, ერთ-ერთი ჩემი მრჩეველი საგარეო პოლიტიკაში მარკ ლიპერტი გავიდა გვერდზე, რომ დალაპარაკებოდა ერთ-ერთ უფროს ოფიცერს, მე კი საუბარი გავაბი მაიორთან, რომელიც პასუხისმგებელია რეგიონში ამბოხებულთა წინააღმდეგ ბრძოლებისთვის. მას წყნარი ხმა ჰქონდა, იყო დაბალი, სათვალეებში. ის შეიძლებოდა შეგედარებინა საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლისთვის. და მართლაც, აღმოჩნდა, რომ მანამ, სანამ ჩაირიცხებოდა საზღვაო ქვეით ჯარში, მან რამდენიმე წელი გაატარა ფილიპინებში მშვიდობის კორპუსის შემადგენლობაში. ბევრი რამ, რაც მან იქ აითვისა, საჭიროა ერაყში მუშაობისთვის, მითხრა მან. საჭიროა, რომ ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა უკეთ გაიგონ სხვა კულტურათა თავისებურებანი, განავითარონ ხანგრძლივი ურთიერთობანი ადგილობრივ ლიდერებთან და უზრუნველყოთ უშიშროების ძალების რაზმების აღდგენის ერთობლივი მოქმედებანი, რათა ერაყელებმა დაინახონ ამერიკის შეერთებული შტატების ძალისხმევის კონკრეტული შედეგები. ყველაფერი ეს დროს მოითხოვს, მითხრა მან, მაგრამ უკვე ჩანს ცვლილებები უკეთესობისკენ, ვინაიდან სამხედროებმა დაიწყეს ამ მეთოდების გამოყენება მთელ ქვეყანაში.

თანმხლებმა ოფიცერმა გვაცნობა, რომ შვეულმფრენი მზადაა გასაფრენად. ვუსურვე მაიორს წარმატება და გავეშურე კაბინისკენ. მე გამისწორდა მარკი. მას შევეკითხე, თუ რა გაიგო უფროს ოფიცერთან საუბრის დროს.

– შევეკითხე, მისი აზრით, თუ რა უნდა გავაკეთოთ, რომ უკეთესად გავართვათ სიტუაციას თავი.

– რა გიპასუხა?

– წავსულიყავი.

ამერიკის ერაყში მოქმედებათა ისტორია მრავალი წლის განმავლობაში იქნება ანალიზისა და განსჯის საგანი – საერთოდ, ესაა ისტორია, რომელიც ჯერ კიდევ იწერება. ამ მომენტში იქ სიტუაცია გაუარესდა იმდენად, რომ, ალბათ, ფაქტობრივად უკვე დაიწყო სამოქალაქო ომი. და თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ამერიკელი – მიუხედავად მათი შეხედულებისა თავად შეჭრასთან დაკავშირებით – დაინტერესებულია ერაყში სიტუაციის კეთილი გადაწყვეტით, არ შემიძლია ვთქვა, რომ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი ამ გადაწყვეტის შედარებით სწრაფ პერსპექტივებთან დაკავშირებით.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ მომენტში პოლიტიკური მაქინაციები – იმ მკაცრი ცივი ადამიანების გაანგარიშება, ვისთანაც ვსადილობდი – და არა ამერიკული ძალის გამოყენება განსაზღვრავენ მოვლენებს ერაყში. დარწმუნებული ვარ აგრეთვე, რომ ამ ეტაპზე ჩვენი სტრატეგიული მიზნები ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული: ერაყში თუნდაც რაიმე სტაბილურობის მიღწევა უზრუნველვყოთ, რომ ერაყში ხელისუფლების სათავეში მყოფნი მტრულად არ ეკიდებოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებს და არ დავუშვათ ერაყის ტერორისტების ბაზად გადაქცევა. ამ მიზნების მისაღწევად – მიმაჩნია, რომ ეს შეესაბამება ამერიკელებისა და ერაყელების ინტერესებს – 2006 წლის ბოლოდან უნდა დაიწყოს ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების ეტაპობრივი გამოყვანა ერაყიდან, თუმცა იმის შესახებ კი, თუ რამდენად ჩქარა მოხდება ჯარების სრული გამოყვანა, მსჯელობა შეიძლება მთელ რიგ ვარაუდებზე დაყრდნობით – ერაყის მთავრობის უნარზე, უზრუნველყოს თუნდაც ძირითადი გარანტიები და საკუთარი ხალხის მომსახურება, იმ ხარისხზე, რომლის დროსაც ჩვენი ყოფნა ხელს უწყობს წინააღმდეგობის მოძრაობას, და იმის ალბათობას, რომ ამერიკის ჯარების არყოფნის დროს ერაყს შეუძლია ჩაეფლოს სრულმასშტაბიან სამოქალაქო ომში. როდესაც ომებში ნაწრთობი საზღვაო ქვეითი ჯარების ოფიცრები გთავაზობენ წასვლას, ხოლო სკეპტიკურად განწყობილი უცხოელი კორესპონდენტები გვირჩევენ დავრჩეთ, ძნელია პასუხის გაცემა.




მაგრამ მაინც უკვე შეიძლება ზოგიერთი დასკვნის გაკეთება ერაყში ჩვენი ყოფნიდან. სიძნელეები წარმოიქმნება არა უბრალოდ ცუდი ქცევის გამო. ისინი ასახავენ კონცეფციის შეცდომას. ფაქტია, რომ 11 სექტემბრიდან თითქმის ხუთი წლის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ გააჩნია ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის თანამიმდევრული პოლიტიკა. სახელმძღვანელო პრინციპების ნაცვლად ჩვენ გვაქვს სპეციალური გადაწყვეტილებების რაღაც სერიის მაგვარი საეჭვო გადაწყვეტილებები. რატომ ვერთვებით სწორედ ერაყის საქმეში და არა ჩრდილოეთ კორეის ან ბირმისა? რატომ ბოსნიაში და არა დარფურში? ირანში ჩვენი მიზანია რეჟიმის შეცვლა, ბირთვული განიარაღება, ბირთვული იარაღის გავრცელების თავიდან აცილება თუ სამივე? მიგვაჩნია მოვალეობად გამოვიყენოთ ძალა ყველგან, სადაც დესპოტური რეჟიმი ატერორებს ხალხს – და თუ ასეა, რამდენ ხანს უნდა დავრჩეთ იქ, რომ უზრუნველვყოთ დემოკრატიის დაჩქარება? როგორ ვეპყრობით ისეთ ქვეყნებს, როგორიც ჩინეთია, სადაც ხდება ეკონომიკური და არა პოლიტიკური ლიბერალიზაცია? ვმუშაობთ გაეროსთან ყველა საკითხში, თუ მხოლოდ მაშინ, როდესაც გაერო მზადაა მოახდინოს ჩვენს მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილებების რატიფიკაცია?

შეიძლება, თეთრ სახლში ვინმეს აქვს ზუსტი პასუხები ამ შეკითხვებზე. მაგრამ ჩვენმა მოკავშირეებმა – ჩვენმა მტრებმაც ეს პასუხები არ იციან. და რაც უფრო მნიშვნელოვანია, არ იცის ისინი ამერიკელმა ხალხმაც. ჩვენ გვჭირდება გადავსინჯოთ საგარეო პოლიტიკური კურსის საფუძველი, რომელიც გაბედულებითა და მოტივით შეედრება ტრუმენის ომისშემდგომდროინდელ პოლიტიკურ კონცეფციებს, ჩვენ გვჭირდება ისეთი საფუძველი, რომელიც შეესაბამებოდა ახალი ათასწლეულის ამოცანებსაც და შესაძლებლობებსაც, ისეთი საფუძველი, რომელიც წარმართავს ძალის გამოყენებას და გამოხატავს ჩვენს ყველაზე ღრმა იდეალებსა და რწმენას.

არ ვამტკიცებ, რომ ეს დიდი სტრატეგია მე ჯიბეში მიდევს. მაგრამ მე ვიცი, თუ რა მჯერა, და წამოვაყენებდი რამდენიმე წინადადებას, რომლებსაც ამერიკელები უსათუოდ დაეთანხმებიან, მიიღებენ მათ ახალი კონსენსუსის ამოსავალ წერტილად.

დასაწყისისთვის უნდა გავიგოთ, რომ იზოლაციონიზმისკენ ნებისმიერი დაბრუნება ან საგარეოპოლიტიკური მიდგომა, რომელიც უარყოფს ამერიკის ჯარების ზოგჯერ გამოყენების აუცილებლობას – ვერ იმუშავებს. განზე დგომის იმპულსი რჩება ორივე პარტიის ძლიერ ფარულ ტენდენციად, განსაკუთრებით, როცა საკითხი ეხება შესაძლო მსხვერპლს ამერიკის მოქალაქეთა შორის. მაგალითად, მას შემდეგ, რაც 1993 წელს მთელ მოგადიშოში მიათრევდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ჯარისკაცების სხეულებს, რესპუბლიკელებმა ბრალი დასდეს პრეზიდენტ კლინტონს იმაში, რომ ის უგუნურად ფლანგავს ამერიკის ძალებს ცუდად მოფიქრებულ ოპერაციებზე. და ნაწილობრივ სომალიში მომხდარი მოვლენების წყალობით 2000 წლის არჩევნებში პრეზიდენტობის კანდიდატმა ჯორჯ ბუშმა-უფროსმა დაიფიცა, რომ ამიერიდან აღარასოდეს გამოიყენებს ამერიკის სამხედრო რესურსებს „ერის ასაშენებლად“. გასაგებია, ბუშის ადმინისტრაციის მოქმედებამ ერაყში გამოიწვია გაცილებით უფრო ძლიერი უკურეაქცია. გამოკითხვის თანახმად, რომელიც მოაწყო პიუს კვლევითმა ცენტრმა, 11 სექტემბრიდან თითქმის ხუთი წლის შემდეგ ამერიკელთა ორმოცდაექვსი პროცენტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „საერთაშორისო დონეზე უნდა აკეთებდეს თავის საქმეს, სხვა ქვეყნებმა კი თვითონ გაართვან თავი თავიანთ სიძნელეებს, როგორც შეუძლიათ, დამოუკიდებლად“.

რეაქცია განსაკუთრებით ძლიერი იყო ლიბერალებს შორის, რომლებიც ერაყში ამერიკელების მიერ ვიეტნამში დაშვებული შეცდომების გამეორებას ხედავენ. ერაყისგან გამოწვეულმა გაწბილებამ და საეჭვო ტაქტიკამ, რომელსაც ადმინისტრაცია იყენებდა, რათა მოეყვანა დასკვნები ომის სასარგებლოდ, ბევრი მემარცხენეც კი აიძულა, შეემცირებინა ტერორისტებისა და ბირთვული იარაღის გამავრცელებლებისგან მომდინარე საფრთხე.

მიზნებს, რომლებსაც ირჩევენ ლიბერალები, აქვს ღირებულებანი. მაგრამ ისინი გაჭირვებით ახერხებენ ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის თანამიმდევრული პოლიტიკის შედგენას. სასარგებლო იქნება გავახსენოთ ჩვენს თავს, რომ უსამა ბენ ლადენი – ეს ხო ში მინი არაა, რომ საფრთხე, რის წინაშეც დღეს შეერთებული შტატები დგას, რეალურია, რთულია სტრუქტურით და შეუძლია მოგვაყენოს დიდი ნგრევა. ჩვენმა ამასწინანდელმა პოლიტიკამ მდგომარეობა მხოლოდ გაართულა, მაგრამ, თუ ჩვენ ხვალ ერაყიდან გავალთ, შეერთებული შტატები დარჩება სანიშნედ მისი დომინირებული მდგომარეობის გათვალისწინებით არსებულ მსოფლიო წესრიგში. რასაკვირველია, კონსერვატორებიც ცდებიან, თუ მიიჩნევენ, რომ ჩვენ შეგვიძლია უბრალოდ თავიდან ჩამოვიშოროთ „ბოროტმოქმედები“, რის შემდეგაც მსოფლიომ დაე თავად იზრუნოს თავის თავზე. გლობალიზაცია ჩვენს ეკონომიკას და ჩვენს უსაფრთხოებას ხდის მოვლენათა მძევლად სამყაროს მეორე მხარეს. და არც ერთ სხვა ქვეყანას პლანეტაზე არ აქვს ისეთი შესაძლებლობანი, როგორიც ჩვენს ქვეყანას – ჩამოაყალიბოს მსოფლიო სისტემა ანდა შექმნას კონსენსუსი საერთაშორისო წესების ახალი კომპლექსის გარშემო, იმ წესებისთვის, რომლებიც აფართოებენ თავისუფლების, პიროვნული უსაფრთხოებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის ტერიტორიებს. მოგვწონს ეს თუ არა ჩვენ, თუ გვსურს გავხადოთ ამერიკა უფრო უსაფრთხო, უნდა დავეხმაროთ მსოფლიოს, გახდეს უფრო უსაფრთხო.

მეორე, რაც ჩვენ უნდა ვაღიაროთ, – ესაა ის, რომ უსაფრთხოების პირობებში, რასაც ჩვენ დღეს ვაწყდებით, ფუნდამენტურად განსხვავდება იმისგან, რაც არსებობდა ორმოცდაათი, ოცდახუთი ან თუნდაც ათი წლის წინათ. როდესაც ტრუმენმა, აჩესონმა, კენანმა და მარშალმა დაიწყეს ომისშემდგომი მსოფლიო წესრიგის არქიტექტურის დამუშავება, ისინი ითვალისწინებდნენ დიდი სახელმწიფოების დაპირისპირებას, რომლებიც დომინირებდნენ მეცხრამეტე საუკუნეში და მეოცე საუკუნის დასაწყისში. იმ მსოფლიოში ამერიკისთვის ყველაზე დიდი საფრთხე მოდიოდა ისეთი ექსპანსიონისტური ქვეყნებიდან, როგორებიც იყვნენ ნაცისტური გერმანია და საბჭოთა რუსეთი, რომლებსაც შეეძლოთ გამოეყენებინათ დიდი არმიები და შეიარაღების მძლავრი მარაგი საკვანძო ტერიტორიებზე შესაჭრელად, შეეძლოთ წაერთმიათ ჩვენთვის მნიშვნელოვან რესურსებთან მისვლის შესაძლებლობა და ეკარნახათ მსოფლიო ვაჭრობის პირობები.

ის მსოფლიო უკვე აღარ არის. გერმანიისა და იაპონიის ინტეგრაციამ ლიბერალური დემოკრატიისა და თავისუფალი ბაზრის ეკონომიკის მსოფლიო სისტემაში ფაქტობრივად მოსპო დიდი ქვეყნების კონფლიქტის საშიშროება თავისუფალი სამყაროს ფარგლებში. ბირთვული შეიარაღების გაჩენა და „ურთიერთგარანტირებული განადგურება“ ქმნიდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ომის რისკს ნაკლებად სავარაუდოდ ბერლინის კედლის დაცემამდეც კი. დღეს მსოფლიოს ყველაზე ძლიერი სახელმწიფოები (რომლებსაც სულ უფრო მეტი საფუძვლით შეიძლება მივუერთოთ ჩინეთიცძ პრაქტიკულად უსიტყვოდ აღიარებენ იმ წესების საერთო კომპლექსს, რომლებიც აწესრიგებენ ვაჭრობას, ეკონომიკურ პოლიტიკას და კონფლიქტების სამართლებრივ და დიპლომატიურ მოწესრიგებას, მაშინაც კი, თუ უფრო ფართო გაგებით, თავისუფლება და დემოკრატია ყველგან არ არის დაცული მათი საზღვრების ფარგლებში.

ამრიგად, მზარდი საშიშროება პირველ რიგში მომდინარეობს სამყაროს იმ ნაწილებიდან, რომლებიც იმყოფებიან მსოფლიო ეკონომიკის საზღვარზე, სადაც მსოფლიო „საგზაო მოძრაობის წესები“ არ დამკვიდრებულა – სუსტი და ნგრევადი სახელმწიფოების, დესპოტური მართვის, კორუფციისა და ქრონიკული ძალადობის სფეროდან; იმ ქვეყნებიდან, სადაც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ცხოვრობს სიღარიბეში, გაუნათლებელია და მოწყვეტილი მსოფლიო საინფორმაციო ქსელიდან; იმ ადგილებიდან, სადაც მმართველებს ეშინიათ, რომ გლობალიზაცია დაასუსტებს მათს ხელისუფლებას, მოშლის ტრადიციულ კულტურას ან გამოდევნის ადგილობრივ ინსტიტუტებს.

ადრე არსებობდა აზრი, რომ ამერიკას თავისუფლად შეუძლია მიაქციოს ყურადღება ქვეყნებსა და პიროვნებებს ამ იზოლირებულ რეგიონებში. დაე, მტრულად ექცეოდნენ ისინი ჩვენს მსოფლმხედველობას, მოახდინონ ამერიკის შეერთებული შტატების საწარმოების ნაციონალიზაცია, გამოიწვიონ ფასების ავარდნა საქონელზე, ჩაერთონ საბჭოეთის ან კომუნისტური ჩინეთის ორბიტაში ანდა თავსაც კი დაესხან ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოებსა და სამხედრო პერსონალს საზღვარგარეთ, მათ არ შეუძლიათ მოგვაყენონ დარტყმა იქ, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ. 11 სექტემბერმა გვიჩვენა, რომ ეს უკვე ასე აღარაა. იგივე საინფორმაციო კავშირურთიერთობებმა, რომლებიც კიდევ უფრო ამჭიდროებენ მსოფლიოს, მიანიჭეს ძალა ამ სამყაროს დარღვევის მსურველებს.

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 218, 220, 227, 229, 233, 235, 238.**

◉ გზად მომავლისკენ

# გაიმართება თუ არა როდისმე საქართველოში რეალური დისკუსია ქვეყნის ბედის შესახებ?

(მეოთხე გვერდიდან)

ვრცელდება ინფორმაცია, რომ სააკაშვილი აპირებს სასწრაფოდ გაემგზავროს აშშ-ში, პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად. ვიზიტის მიზანი ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს – კიდევ ერთხელ, შესაძლოა უკანასკნელადაც, შეეცადოს ვაშინგტონის მაღალჩინოსნების ნდობის და კეთილგანწყობის მოპოვებას. თუმცა, ჩვენი აზრით, სააკაშვილის რეჟიმის „ჩამოშლა“, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, სულ უფრო გარდაუვალი ხდება, იმდენად კატასტროფულია მისი მმართველობის შედეგები, განსაკუთრებით „აგვისტოს ომის“ გათვალისწინებით.

ამ შემთხვევაში პოლიტიკური პროცესები საქართველოში შეიძლება „ცარიელი ფურცლიდან“ დაიწყოს. თუმცა სააკაშვილის შემდგომი ნებისმიერი ხელისუფლების პროამერიკული რიტორიკა და დეკლარაციები ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსის ერთგულების შესახებ, ადვილად პროგნოზირებადია, მაგრამ ამჟამინდელი რეჟიმისგან განსხვავებით, რომელმაც რუსოფობიული ისტერია აბსურდამდე მიიყვანა თვით ამერიკელი ნეოკონების თვალსაზრისითაც კი, ვაშინგტონის ახალი პროტეჟეების პოლიტიკა, სავარაუდოდ, უფრო „ცივილიზებული“ და ზომიერი იქნება, თუნდაც რიტორიკის დონეზე. აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ პარტიებს შესაძლებლობა მიეცემათ, და ეს მათი ვალდებულებაც კი არის, მკაფიოდ და გაბედულად ჩამოაყალიბონ თავიანთი მოსაზრებები და ხედვები საგარეო პოლიტიკის შესახებ. ეს კი მიგვიყვანს გაცილებით სერიოზულ დისკუსიებამდე ქართულ პოლიტიკუმში და საზოგადოებაში საქართველოს შემდგომი განვითარების ვექტორების შესახებ.

## II.

პოლიტიკური პროცესები საქართველოში საკმაოდ დაჩქარდა, სააკაშვილის რეჟიმს სულ უფრო ეტყობა „ჩამოშლის“ ნიშნები, მოსახლეობა კი სულ უფრო ნაკლებად ენდობა მას. ჯერჯერობით ეს გამოიხატება არა ღია პროტესტში, არამედ აპათიისა და გაურკვევლობის გრძნობის გაძლიერებაში. ოდესღაც ქარიზმატული სააკაშვილის ისტერიული გამოსვლები და პიარ-კამპანიები სულ უფრო სცდება მიზანს და ფუჭ გასროლებს წააგავს.

მოვლენათა ახალი განვითარება დაიწყო კათალიკოს-პატრიარქის მოსკოვში ვიზიტის შემდეგ, რომელიც რუსეთის პატრიარქის გარდაცვალებას უკავშირდებოდა. ილია II-მ ძალზე მნიშვნელოვანი განცხადებები გააკეთა რუსულ-ქართული ურთიერთობების შესახებ. ეს ურთიერთობები აგვისტოს ომისა და საქართველოს ხელისუფლების რუსოფობიული პროპაგანდის გამო მთლიანად დანგრეული აღმოჩნდა. პატრიარქმა ფაქტობრივად მოუწოდა მათი სრული მასშტაბით აღდგენისკენ. თუ გავიხსენებთ საქართველოს ეკლესიის და მისი წინამძღოლის მიმართ ნდობის მაღალ რეიტინგს საქართველოს მოსახლეობაში, ამგვარ მოწოდებს ნამდვილად შესწევს ძალა რუსოფობიული ისტერია შეაჩეროს. მაგრამ საინტერესოა მმართველი რეჟიმის რეაქცია: როგორც ჩანს, სააკაშვილი მიხვდა, რომ ამ ახალ ტენდენციას ღიად ვერ დაუპირისპირდებოდა და ცნობილი ტაქტიკა აირჩია, როცა არასასურველ პროცესს თავად უნდა ჩაუდგე სათავეში, თუ გინდა იგი მართო. მან საჩქაროდ გამოაცხადა რუსეთში საქართველოს კულტურის დღეების ჩატარების შესახებ. თუმცა, მიხეილ სააკაშვილის მთელი ადრინდელი მოღვაწეობის გათვალისწინებით, ამგვარი „ფერისცვალების“ დაჯერება შეუძლებელია, თუნდაც ვივარაუდოთ, რომ შესაძლო მიზეზი ხელისუფლების შენარჩუნების პათოლოგიური სურვილი იყოს.

ამის მიუხედავად, საღად მოაზროვნე ძალები საქართველოში ვალდებული არიან გააძლიერონ ზეწოლა ხელისუფლებაზე, რათა მან გადადგას რეალური ნაბიჯები რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგებისკენ. ამ დღეებში უკვე გაისმა საკმაოდ მოულოდნელი განცხადებები ზოგიერთი მაღალჩინოსნის მხრიდან: მაგალითად, ახალ დანიშნულმა საგარეო საქმეთა მინისტრმა გ. ვაშაძემ საქართველოს პოლიტიკის ერთადერთ ურყევ პრინციპად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა გამოაცხადა, ხოლო ნატოში გაწევრების გარდაუვალობა სადღაც გაქრა მისი რიტორიკიდან. დაახლოებით მსგავსი შინაარსის განცხადება გააკეთა ნაციონალური მოძრაობის „თვალსაჩინო“ წევრმა გ. ბაბაშვილმაც. დიდი ალბათობით, აქცენტების ასეთი ცვლილება ტაქტიკურ ხასიათს უნდა ატარებდეს და დროის მოსაგებად უნდა იყოს გათვლილი, რათა ხელისუფლებაზე ზეწოლა შესუსტდეს. ამიტომაც ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც ქვეყნის ნეიტრალურ სტატუსს უჭერენ მხარს, უნდა შეეცადონ აიძულონ რეჟიმი, ზეპირი განცხადებები რაიმე სახის ოფიციალურ დოკუმენტებში აისახოს.

ჯერჯერობით, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შ. ნათელაშვილმა დააფიქსირა თავისი პოზიცია ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით. დანარჩენი პოლიტიკური ძალები ამ საკითხის მიმართ დუმილს ამჯობინებენ ან ერთმანეთის კრიტიკით არიან დაკავებული, როგორც, მაგალითად, კონსერვატიული პარტიის ლიდერი ზ. ძიძიგური, რომელმაც ახლახან გააქტიურებულ ი. გიორგაძეს რუსეთის აგენტი და აქედან გამომდინარე, სრულიად უპერსპექტივო პოლიტიკოსი უწოდა. გიორგაძის მოღვაწეობა ამჟამად უფრო მისი არაეფექტიანობისა და გაუთვლელობის გამო უნდა გაკრიტიკდეს და არა იმდენად „რუსეთის აგენტობის“ გამო. სხვათა შორის, იგივე პრობლემა აქვთ სხვა ოპოზიციურ ძალებსაც, რომლებმაც ვერა და ვერ მოახერხეს ერთმანეთთან სათანადო კოორდინაცია. ეს ალბათ არც არის გასაკვირი, რადგან ზოგიერთ მათგანს ისევ აზოდებს ნატო, თუმცა ზოგის პოზიციებში საღი აზრის ნიშნებიც გამოჩნდა. მაგალითად, იგივე კონსერვატორებს საკმაოდ სწორი, ჩვენი აზრით, პოზიციები უჭირავთ ქართულ ეკლესიასთან, კულტურულ და მართლმადიდებლურ ფასეულობებთან მიმართებაში, მაგრამ ნეიტრალიტეტის და ნატოში გაწევრების საკითხთან დაკავშირებით მათი მკაფიო პოზიცია საზოგადოებას ჯერ არ მოუსმენია. ამ პარტიის დეკლარირებული იდეოლოგიიდან გამომდინარე, ალბათ ლოგიკური იქნებოდა მათ მიერ ნეიტრალიტეტის იდეის მხარდაჭერა.

რაც შეეხება საზოგადოებრივ ძალებს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ისევ და ისევ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციას ექნება. რა თქმა უნდა, მართებული არ არის ვინმემ სასულიერო პირებს პოლიტიკურ პროცესებში უშუალოდ ჩარევა მოსთხოვოს, მაგრამ ყველამ უნდა გააზროს, თუ რა იმპულსები მოდის ეკლესიის წიაღიდან. ეს იმპულსები დიდ გავლენას იქონიებს პოლიტიკურ სპექტრზე და გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე. არასამთავრობო ორგანიზაციები და საზოგადოებრივი მოძრაობები, რომლებიც ორიენტირებული არიან მართლმადიდებლურ და ტრადიციულ ფასეულობებზე, უნდა გააქტიურდნენ ამ მიმართულებით, მეტად გააცნონ მოსახლეობას რეალური ინფორმაცია ქვეყნის პერსპექტივების შესახებ, რათა ის არ იყოს მუდმივად ოფიციალური პროპაგანდის ტყვეობაში, რომელიც მას ილუზორულ „ბედნიერ მომავალს“ ჰპირდება „ნატოს ქოლგის ქვეშ“. სამწუხაროდ, ჯერჯერობით საზოგადოება ისმენს მხოლოდ ანგაჟირებული ე. წ. ექსპერტების მცირე ჯგუფის კომენტარებს და ანალიზს.

თუ ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ შესაძლებელი გახდა რეალური დისკუსიების წარმართვა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ, მაშინ გაჩნდება მომავალში რეფერენდუმის ჩატარების შანსიც. სააკაშვილის მიერ გამართული ე.წ. პლებისციტი კი არალეგიტიმურია, რადგან, ჯერ ერთი, იურიდიული ძალა არა აქვს, მეორეც, ალტერნატიული აზრის დათრგუნვის პირობებში ჩატარდა და ამასთან – გაყალბებულად, ისევე როგორც საპრეზიდენტო არჩევნები. ჩვენი აზრით, ქართული საზოგადოება სწორ არჩევანს გააკეთებს, არა მარტო რეფერენდუმზე, არამედ იმ პოლიტიკურ პარტიებთან მიმართებაშიც, ვინც მხარს დაუჭერს ნეიტრალიტეტის იდეას, სამეზობლო რეგიონალურ ეკონომიკურ ორგანიზაციებში გაწევრებასთან ერთად, რადგან მას თვალწინ აქვს ნატოში ქვეყნის ავანტიურული შეთრევის და რუსეთთან მტრული პოლიტიკის დამღუპველი შედეგები. მთავარია პოლიტიკური და საინფორმაციო სივრცე განთავისუფლდეს „ნატომანური“ ცალმხრივი დიქტატისგან და შეწყდეს ხალხის, ამომრჩევლის განუწყვეტელი ზომბირება ტელეეკრანებიდან. პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალების ვალია რაც შეიძლება სწრაფად მიიყვანონ ქვეყანა ამ სიტუაციამდე.

**გიორგი ვეკუა,**
**სახალხო დიპლომატიის, საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის ცენტრის ექსპერტი**

◉ ვითარება

# „წინ წყალი, უკან მეწყერი“

**გალის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებთ აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება აფხაზური პასპორტის აღებას აიძულებს.** ეს პროცესი ჯერჯერობით მშვიდად მიმდინარეობს, მაგრამ ახალი წლიდან გადაწყვეტილია სიტუაციის გამწვავება და ადგილობრივ მოსახლეობას მოთხოვნას მკაცრად წაუყენებენ: ან მიიღონ აფხაზეთის მოქალაქეობა, ან დატოვონ აფხაზეთის ტერიტორია. ეს ის მომენტია, როდესაც ძალიან ძნელია გადაწყვეტილების მიღება. რა ქნან დილემის წინაშე მდგარმა გალელებმა? მიიღონ თუ არ მიიღონ აფხაზეთის მოქალაქეობა? ამაზე აზრთა სხვადასხვაობაა ადგილობრივ მკვიდრთ შორის... ერთმანეთს უპირისპირდება ორი მოსაზრება:



**ჰამლეტ ჭყონდიდელი, გალის მკვიდრი, იურისტი:** „აფხაზური პასპორტის აღება და აფხაზეთის მოქალაქეობის მიღება თავისთავად გულისხმობს ქართული მოქალაქეობის დაკარგვას. წინააღმდეგ შემთხვევაში აფხაზები გამოყრით იმუქრებიან. ასეთ შემთხვევაში მე კი გაცნობიერებული მაქვს თუ როგორ მოვიქცე, მაგრამ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი უდავოდ ვერ გაუძლებს ამდენ ზეწოლას და ადვილი მოსალოდნელია, დაეთანხმონ, სეპარატისტული რეჟიმის მოთხოვნებს. აფხაზური მოქალაქეობის მიღებით ჩვენ დავკარგავთ ქართველებს. ტერიტორიები შეიძლება დავიბრუნოთ, მაგრამ დაკარგულ ქართველებს, რომელთა ასიმილაცია მოხდება რუსებთან, ვერ დავიბრუნებთ, ამიტომაც აფხაზური პასპორტისა და აფხაზური მოქალაქეობის მიღება იქნება ჩვენთვის დამღუპველი. იმათთვის, ვინც არ მიიღებს აფხაზურ პასპორტს და გამოყრიან თავიანთი სახლ-კარიდან, უნდა იზრუნოს საქართველოს ხელისუფლებამ.

**ნუგზარ გერგედავა, გალის მკვიდრი, ინჟინერი:** „აფხაზური პასპორტისა და აფხაზური მოქალაქეობის მიღებაში მე ტრაგედიას ვერ ვხედავ. აფხაზური პასპორტი ყველა ადგილობრივმა მკვიდრმა უნდა მიიღოს. რათა შენარჩუნებულ იქნეს ქართული ეთნოსი, წინააღმდეგ შემთხვევაში გალის რაიონში ქართველები აქა-იქ იქნებიან შემორჩენილნი“.

სწორედ ამაზეა ნათქვამი „წინ წყალი, უკან მეწყერიო“. მოსახლეობის ნაწილი მართლაც აიღებს აფხაზურ პასპორტებს, ნაწილი უარს იტყვის აფხაზეთის მოქალაქეობაზე. გალელები თავს კარგად ვერც ენგურს გაღმა იგრძნობენ და ვერც გამოღმა.

**ლადო ქირია,**
**„სრ“ საკ. კორ. ზუგდიდი.**

◉ ინფორმაცია

## ბიუჯეტი 14 პარტიას დააფინანსებს

**მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 14 პარტია დაფინანსდება. ამის შესახებ ჟურნალისტებს ანტიკრიზული საბჭოს წევრებმა საბჭოს გუშინდელი სხდომის დაწყებამდე განუცხადეს.**

**წინასწარი ინფორმაციით, 14-ვე პარტიას ბოლო საპარლამენტო არჩევნების შედეგების გათვალისწინებით სახელმწიფო დაფინანსება აღუდგება.**

**დაფინანსებას მიიღებენ თვითმმართველობის არჩევნებში 3 პროცენტგადალახული პარტიები.**

**გარდა ამისა, საერთო ჯამში პარტიების დაფინანსება 20-25 პროცენტით გაიზრდება.**

ინტერპრესნიუსი

◉ რედაქციაში მომჩივანი მოვიდა

***გაუგებარი ამბები ხდება საქართველოში. დემოკრატია რომ წყალ-გაღმა დაგვრჩა ან სულაც შეიძლება ჩაილურის წყალიც დალია, ამაზე აღარ ვდავობთ, მაგრამ ეს სამართალიც რომ შემოგვწყრა, ეს ვიღას ბრალია? ვითომ სამართალმთხზველების? არაო, ხელებს ასავსავებენ პარლამენტარები, კანონების მიღება-ამოქმედების გეგმას 200-300 პროცენტით ვასრულებთ და მეტი რაღა ვქნათ, ბოლოს და ბოლოს ჩვენც ადამიანები ვართ და შეგვიბრალეთო.***

# „მითხარით, როდემდე შეიძლება ლოდინი?“

## უკანონობამ ყველა მიჯნას გადააბიჯა

არა, ესენი კი აცხობენ კანონებს (სხვა საქმეა, როგორი ხარისხისას აცხობენძ, მაგრამ ისინი სრულდება თუ არა, ამას რომ აღარავინ აკონტროლებს? სწორედ აქ მარხია ძაღლის თავიც, რომელსაც ჩინოვნიკობა და სამართალდამცავები სამარიდან ხან ამოაგდებენ და ხან ჩააგდებენ, მაგრამ ქვეყნად კანონიერებას, გაჯეჯილების ნაცვლად, უფრო ასამარებენ.

სწორედ ამ უკანონობასა და თავმინებებულობაზე საუბრობდა ამას წინათ რედაქციაში მოსული ბიზნესის ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარე **ანზორ ბაბუხადია,** რომლის შინაარსი გაზეთის ფურცლებზეც („საქართველოს რესპუბლიკა“, 26 ნოემბერი, 2008 წ.ძ გამოვაქვეყნეთ, მაგრამ ვითომ წაიკითხეს კი იმათ, ვისაც კრიტიკა ეხებოდა და ყურები უნდა გაეპარტყუნებინა? არა მგონია. აი, უკანონობით გაწამებული მოქალაქეები კი ხშირად ჩვენთან აგზავნიან საჩივრებს, ზოგი პირადადაც გვეწვევა ხოლმე გულის ხვაშიადის გასაზიარებლად.

ამ ორი დღის წინათ თმაშევერცხლილმა მამაკაცმა, რომელიც გიური მარგველაშვილად გაგვეცნო, კიდევ ერთი საჩივარი გვაახლა. გამოვართვი, ჩავიკითხე და კიდევ ერთხელ „დავტკბი“ დედაქალაქის მერიაში თავშეფარებულ ჩინოვნიკთა „სამართლიანობის სურნელით“.

**— პროფესიით პედაგოგი ვარ, ხუთი შვილის მამა,** — წერს განცხადება-საჩივარში მოქალაქე მარგველაშვილი, **— ოჯახიდან მხოლოდ მეუღლე მუშაობს და დიდი გაჭირვებით ვირჩენთ თავს. ამას ვინ ჩივის, უფრო მეტი გასაჭირიც მინახავს იმ პერიოდში, როცა გორიდან თბილისში გადმოვედი საცხოვრებლად და უსახლკაროდ დავრჩი. მაშინ ნათესავები დამეხმარნენ, ცოტა ფული შემიგროვეს, რითაც სამშენებლო ბლოკის ყიდვა შევძელი და ცოლშვილი სიცივით რომ არ დამხოცოდა, ქალაქის მივარდნილ უბანში სადაც ჩუღურეთის გამგეობამ მცირე მიწის ნაკვეთი გამომიყო, ერთოთახიანი მიწური ჩავდგი. გულით გავიხარე, როცა გავიგე, რომ კანონი უფლებას მაძლევდა,**



**ეს ნაკვეთი საკუთარ მფლობელობაში ამელო და საჯარო რეესტრში გამეტარებინა. მაშინვე შევაგროვე საჭირო დოკუმენტები და თბილისის მერიაში წარვადგინე. უარი არ უთქვამთ, განცხადება და საბუთები ჩაიბარეს, სარეგისტრაციო ნომერიც მომცეს (№12/31804-7, 5.05.08) და იმ იმედით გამომისტუმრეს, რომ სამი თვის თავზე პასუხს მივიღებდი.**

**— მერე, არ მიგიღიათ?**

— რომ მიმეღო, საჩივლელად ხომ აღარ მოვიდოდი. რამდენჯერმე მივმართე პასუხისთვის, მაგრამ უშედეგოდ.

**— მაინც რას გეუბნებიან?**

— დაელოდეთ და როცა რიგი მოგიწევთ, პასუხს მაშინ მიიღებთო.

**— ჰოდა დაელოდეთ,** — შევეცადე დამემშვიდებინა.

— კი მაგრამ, როდემდე დაველოდო? მათივე განცხადებით, პასუხი 3 თვეში, ანუ 5 აგვისტოსთვის უნდა მცოდნოდა. აბა მოთვალეთ, მას შემდეგ რამდენი თვე გავიდა?

**— იქნებ დოკუმენტაციაში რაიმე გაკლიათ?**

— მაშინ მეტყოდნენ და მივიტანდი. ეგ მამაცხონებულები ვითომ მიტაცებულ მიწებსაც უკანონებდნენ ხალხს და დაკანონებულზეც უარს მეუბნებიან?

**— მაშინ სხვა დრო იყო, ჩემო ძმაო,** — გამოვუტყდი, **— ნაციონალებს არჩევნები ჰქონდათ მოსაგები და ამომრჩეველთა გულის მოსაგებად ყველა დათმობაზე მიდიოდნენ.**

— ჰოდა იცოდნენ, მომავალ არჩევნებამდე თუ მიაღწიეს, მაგათ ანკესზე აღარავინ წამოეგება! — მომიგდო ეს სიტყვები და კარი გაიხურა.

მე მომჩივანის განცხადებაში კიდევ ერთხელ ჩავიხედე, მერიის სამსახურის მიერ მინიშნებული ტელეფონის ნომერი (37-85-44ძ მოვძებნე და დაკავშირებას შევეცადე. ნურას უკაცრავად, ხმა არავინ გამცა. არც მომდევნო დღეებში გაუღია ხმა ვინმეს.

გამახსენდა ბატონ ანზორ ბაბუხადიას ნათქვამი: **„სადღეისოდ არსებული ინფორმაციით, თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედ კომისიაში შესულია ათასობით განცხადება, რომლებიც აქამდე არ განხილულა. თუ 5 იანვრამდე, ანუ საპრეზიდენტო არჩევნებამდე, განხილული განცხადებების 90 პროცენტი დადებითად წყდებოდა, ახლა მათ უმრავლესობაზე პასუხი უარყოფითია. კომისია ელემენტარულ პირობებსაც კი ვერ უზრუნველყოფს. მოქალაქეები თვეობით ელოდებიან პასუხს, მაგრამ ვერ ღებულობენ, მონიშნული ტელეფონები კი საერთოდ არ პასუხობენ. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წლის 23 ოქტომბერს კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, განცხადების განხილვის ვადები 6 თვემდე გაიზარდა, გასული წლის ნოემბრის, დეკემბრის, წლევანდელი იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის განცხადებები დღემდე განუხილავად აწყვია. ამასთან, ბოლო ცვლილებით გართულდა მიწის დაკანონება, რაც საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს ეწინააღმდეგება“.**

**მინდოდა, საუბრიდან ეს ამონაწერი ბატონ გიური მარგველაშვილისთვის გამეცნო, მაგრამ განაწყენებულმა გამასწრო. ეჰ, ყველას სად აუხსნი ჩვენ ხელისუფალთა თაღლითობას!**

ოთარ ხუციშვილი

◉ ნავთობის ბაზარი

# ბზეპი, ჩომლეპსაც ნაჟთოპი იჩჩეჟს

**წლის მიწურული ყველა სფეროში ყოველთვის შედეგების დაჯამების დროა. მსოფლიოში მძვინვარე ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც, ცხადია, საქართველოსაც შეეხო, მრეწველობისა და, მით უმეტეს, მოხმარების ყველა მხარეს, მათ შორის ნავთობსა და ნავთობპროდუქტების ფასებზეც იმოქმედა.**

ნედლ ნავთობზე ფასების ბოლოდროინდელმა მეტად საგრძნობმა კლებამ ამ ნედლეულის მწარმოებელ ქვეყნებს შორის (OPECძ, რომლის წილად წელიწადში მსოფლიო ნავთობის ექსპორტის 40 პროცენტი მოდის, ურთიერთობების საკმაო დაძაბვა გამოიწვია. საქმე ის არის, რომ ნავთობის ექსპორტიორების სამნაირი სახეობის გასაჭირი ადგათ: **პირველია ფასების დაწევა, მეორეა მოთხოვნილების კლება, ხოლო მესამე — და, ალბათ, მთავარი, — შემოსავლის შემცირება.** საგულისხმოა, რომ ეს არ არის „ოჯახური აურზაურის“ პირველი შემთხვევა, ადრეც, კერძოდ, 1998 წელს, მოხდა, როცა ბარელი ნავთობის ფასი 10 დოლარამდე დაეცა. მაშინ OPEC-ის წევრებმა შეძლეს მსოფლიო ბაზარზე ფასების აწევა, მაგრამ ამჟამინდელი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში ამ სცენარით მოვლენათა განვითარება უახლოეს მომავალში ნაკლებად სავარაუდოა.

ფასების დაცემამ ნავთობის მომპოვებელი მრავალი ქვეყნის, უწინარესად ირანის, რუსეთისა და ვენესუელის ეკონომიკურ-პოლიტიკური საფუძვლები შეარყია, რომლებიც თავის დროზე სხვებზე მეტად მოგებულები დარჩნენ „შავი ოქროს“ გაძვირებით. ასევე მეტად საგულისხმოა ნავთობზე ფასების კავშირი ამა თუ იმ ქვეყანაში პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ვითარებასთან. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ **რაც უფრო მაღალია ნავთობის ფასი, მით უფრო მაღალია კორუფციის დონე,** რაზეც რუსეთის, ყაზახეთის, მექსიკის, ვენესუელის, აზერბაიჯანისა და, ასე განსაჯეთ, ნორვეგიის მაგალითებიც მოწმობენ. არც იმას ივიწყებენ, რომ **ქრთამის ბაზარი კია დახურული, მაგრამ მის შესახებ ყველამ მშვენივრად უწყის,** რითაც სარგებლობენ კიდეც. სპეციალისტები კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს აღნიშნავენ, მათ შორის მიუთითებენ, რომ **რაც უფრო ძვირია ნავთობი, მით უფრო მემარცხენეა ქვეყანა, და მით უფრო სუსტია მისი მთავრობა, რომელიც მეტად პოპულისტურ გადაწყვეტილებებს იღებს.** ისევე მიუთითებენ, რომ **რაც უფრო ძვირია ნავთობი, მით უფრო ნაკლები პოლიტიკური და მოქალაქეობრივი თავისუფლებაა ქვეყანაში.**

ყოველივე, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, ბუნებრივია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო ბაზარზე ნედლი ნავთობის, ამ სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს ენერგოშემცველთან დაკავშირებულ მრავალ ასპექტთან დაკავშირებით, რომელთაგან ჩვენთვის, უწინარესად, სასიცოცხლო ინტერესია მისი **ტრანსპორტირების მარშრუტები.** სხვას თავი რომ დავანებოთ, საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიის შემდგომ პერიოდში მრავალი ექსპერტი ეჭვობდა, რომ სტაბილურად იმოქმედებდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის სტრატეგიული ნავთობსადენი. ამ ეჭვს ის გარემოებაც ამაგრებდა,



რომ, გარკვეული ინფორმაციით, თითქოს ყაზახეთი უარს ამბობდა თენგიზის საბადოზე მოპოვებული ნავთობის ნაწილის ევროპის ბაზრებამდე სამხრეთის მარშრუტით ტრანსპორტირებაზე. საბედნიეროდ, ჭორი ჭორად დარჩა და, სპეციალისტების შეფასებით, სადღეისოდ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით ყოველდღიურად ერთნახევარ მილიონ ბარელზე მეტი როგორც აზერბაიჯანული, ასევე ყაზახური ნავთობი გადაიზიდება.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს, როგორც კასპიისპირა ქვეყნებში მოპოვებული ნავთობის ევროპის ბაზრებამდე სატრანსპორტო დერეფნის მნიშვნელობას ზრდის ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ამოქმედება, რომელიც წლეულს შემოდგომაზე ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებით შეჩერებული იყო.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ მსოფლიო ბაზარზე ნედლი ნავთობისა და საქართველოში ბენზინის ფასის გარკვეულმა დაწევამ მომხმარებელში ფუჭი ილუზიები არ უნდა წარმოშვას, თითქოს ამ ტენდენციებს შეუძლია ზოგადად სამომხმარებლო ფასებზე (მით უმეტეს საახალწლოდ!ძ რაიმე საგრძნობი გავლენის მოხდენა.

ოთარ ტურაბელიძე


## განცხადება

**სს „თბილინტერბანკი“ აცხადებს აუქციონს ბანკის კრედიტორულ მოთხოვნებზე. გასაყიდად გამოტანილი იქნება ბანკის მოთხოვნები სუბიექტების (იურიდიული და ფიზიკური პირები) მიმართ (გასაყიდი ქონება). თითოეული სუბიექტის მიმართ მოთხოვნის გაყიდვა მოხდება დამოუკიდებელ ლოტად.**

**აუქციონი ჩატარდება 2008 წლის 22 დეკემბერს 12 საათზე სს „თბილინტერბანკის“ ადმინისტრაციის მისამართზე, ქ. თბილისი, გ. ჩიტაიას №21, III სართული, აუქციონში მონაწილეობისათვის ბე შეადგენს გასაყიდი ქონების საწყისი ღირებულების 10 (ათი) პროცენტს.**

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა სააუქციონო კომისიას უნდა მიმართოს შემდეგი დოკუმენტაციით:**

**ა) განცხადება აუქციონში მონაწილეობის სურვილის შესახებ;**

**ბ) ბეს შეტანის დამადასტურებელი ქვითარი. ბე გადახდილი უნდა იქნას უნაღდო ანგარიშსწორებით, შემდეგ რეკვიზიტებზე: სს „თბილინტერბანკის“ კოდი 220101815, ანგ/№800161015, შიდა ანგ. 908004, საიდენტიფიკაციო კოდი 203828527.**

**გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ სხვა პირის სახელით მოქმედებს.**

**დ) იურიდიულმა პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და იურიდიული პირის უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება აუქციონში მონაწილეობის შესახებ.**

**აუქციონში მონაწილეობის შესახებ განცხადება და დოკუმენტები უნდა წარმოდგენილი იქნას 2008 წლის 19 დეკემბრის 18 საათამდე.**

**ყველა სხვა პირს, რომელთაც აქვს უფლებები აუქციონზე გასაყიდ ნივთზე, ვალდებული არიან ამ უფლებების დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.**

**დამატებითი ინფორმაცია გასაყიდი ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ სს „თბილინტერბანკის“ ადმინისტრაციის მისამართზე: ტელ: 95-72-33.**

სააუქციონო კომისია

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს არმია ომისთვის მზად არ იყო

**საქართველოს სამხედრო ექსპერტებმა საქართველოში აგვისტოს ომის დამთავრებისთანავე დაიწყეს მისი დაწვრილებითი ანალიზი.** უკვე ნოემბრის ბოლოსთვის ისინი მზად იყვნენ, გამოექვეყნებინათ თავიანთი ხედვა იმისა, თუ როგორ აღმოჩნდა საქართველოს არმია ომში ჩათრეული, როგორ იბრძოდა იგი და რატომ განიცადა დამარცხება. ათეულობით ქართველი სამხედრო ანალიტიკოსი, რომლებმაც საჯარო გამოსვლებში არასამთავრობო ორგანიზაციაში „დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი“ დაწვრილებით განიხილეს ომის შედეგები, პრაქტიკულად მთლიანად ეთანხმებიან იმ გამოკვლევას, რომელიც მოაწყო ამერიკის შეიარაღებული ძალების ოფიცერთა ჯგუფმა, და რომელიც მუშაობდა თბილისში მიმდინარე წლის ოქტომბერსა და ნოემბერში.

ამ გამოკვლევის შედეგები გამოქვეყნდა ხუთშაბათს „ნიუიორკ ტაიმსში“ და მათ პრაქტიკულად გააქარწყლეს ყველა მითი „პატარა ქართული არმიის გამარჯვების შესახებ“ ძლიერ ჩრდილოელ მეზობელთან შეტაკებაში, რის შესახებაც უკანასკნელი თვეების განმავლობაში განუწყვეტლივ ლაპარაკობდნენ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდის წევრები.

არა მორალური, არამედ სამხედრო-სტრატეგიული გამარჯვების შესახებ, ვინაიდან კარგად მომზადებული და შეიარაღებული ქართული არმია ყველაფერს აკეთებდა, რათა დაემტკიცებინა, თუ რამდენად არის იგი ძლიერი ამ ცოტა ხნის წინანდელ პერიოდთან შედარებით. და მან ვერ შეძლო მტრის დამარცხება მხოლოდ რუსეთის ძალების მიერ გამოყენებული არაადეკვატური ხერხების გამო.

ექსპერტები საუბრობდნენ არა მხოლოდ იმის შესახებ, რომ ცუდად იმართება და კონტროლდება დღეს ქართული არმია, რამდენადაც გენერალური შტაბის ხელმძღვანელობის უუნარობის შესახებ მიეღოთ გადაწყვეტილება ექსტრემალურ სიტუაციებში ინფორმაციის გაცვლის ზუსტი სისტემის უქონლობის გამო და არა მხოლოდ იმიტომ, რომ, ფაქტობრივად, ვერ გაამართლა საქართველოს არმიის რეზერვისტების გამოყენების სისტემამ.

ისინი ლაპარაკობდნენ კონკრეტულ მაგალითებზე და ფაქტებზე ამ ომში, რომლებიც არავითარ საბაბს არ გვაძლევენ ვილაპარაკოთ საქართველოს თავდაცვისუნარიანობის სასწაულებზე.

საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის გიორგი ყარყარაშვილის მტკიცებით, რომელიც თავდაცვის სფეროს სათავეში ედგა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს 90-იანი წლების დასაწყისში, საქართველოში აგვისტოს ომის დაწყებისთვის იყო სულ ოთხი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალება. ორი მათგანი ვერც კი ამოქმედდა და იმყოფებოდა სენაკის ბაზაზე, სანამ არ გახდა რუსეთის არმიის ნადავლი.

მისი აზრით, არაპროფესიონალიზმის უმაღლესი გამოვლინება ომის წინ იყო ის, რომ სჯეროდათ, თითქოს რუსეთი შეეცდებოდა გამოეყენებინა შეტევითი ავიაცია, რათა გაენადგურებინა ყველა სტრატეგიული ობიექტი. ამისთვის არსებობდა ყველა შესაბამისი სიგნალი მოსკოვიდან, მათ შორის, საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადება იმის შესახებ, რუსეთის თვითმფრინავები დაფრინავენ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, რათა „გააციონ ზოგიერთი გახურებული თავი“ საქართველოში. ექს-მინისტრის აზრით, ქართველი სამხედროების მტკიცება იმის შესახებ, რომ საქართველოს არმია აწარმოებდა მხოლოდ თავდაცვით ბრძოლებს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, აშკარად ეწინააღმდეგება ცხინვალში გამაგრებული ჯარების დაჯგუფების დამარცხების ფაქტს.

და ეს იმ დროს, როდესაც საქართველოს არმიას, ლოგიკის შესაბამისად, თავი უნდა მოეყარა როკის გვირაბის მიმართულებით, საიდანაც, როგორც ქართული მხარე ამტკიცებს, იწყებოდა რუსეთის არმიის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის გადაადგილება.

ყარყარაშვილის მტკიცებით, რომელიც პირველწყაროებს მიუთითებს, დანარჩენი დაჯგუფებანი, რომლებიც აერთიანებდნენ 2 ათას სამხედრო მოსამსახურეს, ამ დროს ასუფთავებდნენ ტყეებსა და სოფლებს ცალკეული მაროდიორებისა და შეიარაღებული ბანდიტების ძებნაში.

ექსპერტი კობა ლიკლიკაძე, რომელმაც ასევე მოამზადა ქართული არმიის დღევანდელი მდგომარეობის დაწვრილებითი ანალიზი და მისი დამარცხების მიზეზები, მთლიანად ეთანხმება პენტაგონის ოფიცრების მიერ განხორციელებულ გამოკვლევას.

საკადრო ექსპერიმენტები, რომლებიც დაიწყო 2004 წლიდან, ლიკლიკაძის მტკიცებით, იყო მიზეზი იმისა, რომ ქართული არმია დატოვეს გამოცდილმა კადრებმა, რომლებსაც შეეძლოთ ბრძოლა და მიღებული ჰქონდათ გამოცდილება 90-იან წლებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დროს.

არმიიდან წავიდნენ ისინიც, ვისზეც დაიხარჯა საქართველოს დასავლელი პარტნიორების დიდი რესურსები სამხედრო სფეროში. მოვიდა ახალი და გამოუცდელი, პიროვნული ურთიერთობის პრინციპით შერჩეული და არაპროფესიული კადრები. უკანასკნელი საკადრო გადაადგილებანი, რომლებიც ორი კვირის წინათ მოხდა, ექსპერტის აზრით, ვერაფერ სასარგებლოს ვერ მოიტანს.

და თუ თავდაცვის მინისტრის პოსტზე გამოცდილი და ჭკვიანი პოლიტიკოსის დავით სიხარულიძის დანიშვნა იქნება სასარგებლო, მის მოადგილედ მეტად არაპოპულარული ბაჩო ახალაიას დანიშვნამ შეიძლება მხოლოდ პესიმისტური განწყობა გამოიწვიოს. საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი, რომელიც 2004 წელს შეადგენდა 174 მილიონ ლარს, 2008 წლისთვის გაიზარდა მილიარდ-ნახევარ ლარამდე.



მიუხედავად ამისა, ექსპერტის ირაკლი სესიაშვილის აზრით, ეს ნაკლებად აისახა საქართველოს არმიის ეფექტიანობის ამაღლებაზე.

საკმარისია ითქვას, რომ ქვეყანაში, რომელიც იმყოფებოდა ომში ჩათრევის საშიშროების წინაშე, სულაც არ იყო სამხედრო მოქმედებათა ერთიანი სახელმწიფო გეგმა მტრის თავდასხმის შემთხვევისთვის.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობაში ამბობენ, რომ არ აქვთ განზრახვა, კომენტარი გაუკეთონ საკითხებს ამ თემაზე, განსაკუთრებით იმ სტატიებს, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში დიდი რაოდენობით გამოქვეყნდა დასავლეთის პრესაში.

ამავე დროს, როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გიორგი მუჩაიძემ განაცხადა, ეს გამოკვლევა ამერიკის მხარემ მოაწყო თავად საქართველოს ხელისუფლების თხოვნით.

ამიტომ მასში აღნიშნული ნაკლოვანებანი და დაშვებული შეცდომები გათვალისწინებული იქნება უკვე სამხედრო რეფორმის დროს, რაც ნატოსკენ სწრაფვის პერიოდში კვლავ გრძელდება.

**ქეთი ბოჭორიშვილი**

BBC RUSSIAN.com

# მიხეილ სააკაშვილი მოსკოვის მისადგომებთან შენიშნეს

**როგორც ჩვენი გაზეთისთვის გახდა ცნობილი, მოსკოვი და თბილისი აწარმოებენ მოლაპარაკებებს შუამავლების მეშვეობით ურთიერთობათა ნორმალიზაციის პერსპექტივის შესახებ.** ერთ-ერთი ასეთი არაოფიციალური მომლაპარაკებელი იყო ქართველთა კავშირის მეთაური მოსკოვში მიხეილ ხუბუტია. ბატონმა ხუბუტიამ გვაცნობა, რომ ამასწინანდელ შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტთან მან განიხილა თბილისსა და მოსკოვს შორის ავიამიმოსვლის აღდგენის შესაძლებლობა.

როგორც გაზეთისთვის გახდა ცნობილი, საქართველოს პრეზიდენტი შუამავლების მეშვეობით ჩაერთო მოლაპარაკებებში მოსკოვთან ურთიერთობათა თანდათანობითი ნორმალიზაციის შესახებ. მიხეილ ხუბუტიამ უამბო ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს თავისი ამასწინანდელი შეხვედრის შესახებ საქართველოს პრეზიდენტთან. შეხვედრა გაიმართა 21 ნოემბერ მიუნხენში, სადაც ბატონი სააკაშვილი ხსნიდა საქართველოს საპატიო საკონსულოს. „მე ამას წინათ ვესაუბრე სააკაშვილს. მასთან მქონდა შეკითხვები იმ ქართველ ლტოლვილთა პრობლემების გადაწყვეტის საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც დროებით ცხოვრობენ რუსეთის ტერიტორიაზე და რომლებსაც გაუთავდათ ვიზები და არ იციან, სად დაბრუნდნენ. აგრეთვე განვიხილეთ რუსეთსა და საქართველოს შორის ავიამიმოსვლის განახლების, დიპლომატიური ურთიერთობის საკითხები“.

მიხეილ ხუბუტიამ არ დააზუსტა, თუ ვინ არის მოსკოვში უფლებამოსილი ასეთი მოლაპარაკებისთვის ქართულ მხარესთან და აღნიშნა, რომ მისი თვალსაზრისით, სააკაშვილი მზად არის მოსკოვთან კონტაქტებისთვის. „იგი, როგორც მეჩვენება, გაწბილებულია იმით, რომ საქართველოს არ მისცეს ნატოში შესვლის მოქმედებათა გეგმა და იმით, რომ მან ვერ მიიღო სათანადო მხარდაჭერა ევროპისგან, — თქვა მიხეილ ხუბუტიამ. — მე აშკარად ჩამომიყალიბდა იმის რწმენა, რომ საჭიროა დიალოგი რუსეთის ფედერაციასთან. რუსეთი უნდა იყოს უფრო გონივრული და დაეხმაროს მას. მიმდინარეობს მუშაობა. ვნახოთ, რა გამოვა“, — აღნიშნა ხუბუტიამ.

„ჩვენ მოვილაპარაკეთ საქართველოში რუსული სკოლის გახსნის შესახებ, რომელიც გაისად უნდა მომხდარიყო. საქართველოს პრეზიდენტმა მიმიწვია ამ სკოლის გახსნის ცერემონიაში მონაწილეობისთვის“, — აღნიშნა მან.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურში არც დაადასტურეს და არც უარყვეს ბატონების სააკაშვილისა და ხუბუტიას შეხვედრის ფაქტი.

ამ დროს რუსეთის ოფიციალური პირები სამხრეთ ოსეთში აგვისტოს მოვლენების დროსაც და მის შემდეგაც პირდაპირ აცხადებენ, რომ საქართველოს დღევანდელ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის აღდგენა შეუძლებელია. სარწმუნო წყაროები აგრეთვე დარწმუნებული არიან, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას მომავალი არ გააჩნია, სანამ ხელისუფლების სათავეში მიხეილ სააკაშვილია. „ეს იცის თავად სააკაშვილმაც. იგი, ალბათ, გრძნობს, რომ მას მოუწევს ვადამდე გაათავისუფლოს ადგილი, რათა შექმნილი ჩიხიდან მოიძებნოს გამოსავალი“, — მიაჩნია ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის მოსაუბრეს.

მიხეილ სააკაშვილის წრიდან გვაცნობეს, რომ შეხვედრაზე თითქოს განიხილებოდა საქართველოს პრეზიდენტის ვადამდელი წასვლის შესაძლებლობა. თუმცა საქართველოს უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი ეკა ტყეშელაშვილი კატეგორიულად უარყოფს მსგავსი საუბრების შესაძლებლობასაც კი. „მე წარმოდგენაც კი არ შემიძლია ასეთი შეხვედრის შესახებ პრეზიდენტთან და საუბრების შესახებ ანალოგიურ თემაზე, — განაცხადა ქალბატონმა ტყეშელაშვილმა. — ეს აბსოლუტურად სიცრუეა. ეს აბსურდია“.

მაგრამ თავად საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს მიხეილ სააკაშვილის სავარაუდო შემცვლელის შერჩევა. მეთვალყურეთა აზრით, პერსპექტივაში შანსები — შეცვალონ ქვეყნის დღევანდელი ხელმძღვანელი, აქვს ქალბატონ ბურჯანაძეს და აგრეთვე ამჟერად უკვე ყოფილ ელჩს გაეროში ირაკლი ალასანიას. სხვათა შორის, 21 დეკემბერს ალასანიას 35 წელი შეუსრულდა. ესე იგი ირაკლი ალასანიამ მიაღწია იმ ასაკს, როდესაც შეუძლია გამოაცხადოს პრეტენზია სახელმწიფოში მთავარ პოსტზე. ბატონი ალასანია ჯერ არ ჩართულა აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლაში და არ გაწუცხადებია სურვილი, გამოიწვიოს მოქმედი ხელისუფლება, თუმცა, უკანასკნელი გამოკითხვის მონაცემებით, მისი რეიტინგი შეადგენს 15-17 პროცენტს (ბატონ სააკაშვილის პოპულარობას სოციოლოგები აფასებენ 17-20 პროცენტითძ.

სამაგიეროდ, ნინო ბურჯანაძე არ ილღება, ილაპარაკოს თავის საპრეზიდენტო ამბიციებზე. მას არაერთგზის განუცხადებია, რომ „მაქსიმალური ვადა, როდემდეც ქვეყანას შეუძლია აიტანოს დღევანდელი ხელისუფლება, ეს არის 2009 წლის გაზაფხული, როდესაც საჭირო გახდება მოეწყოს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, რისთვისაც აიძულებენ სააკაშვილს, უზრუნველყოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება“. ქალბატონი ბურჯანაძე რეგულარულად ჩადის ვაშინგტონში, სადაც ხვდება სახელისუფლო სტრუქტურებისა და „გონებრივი ცენტრების“ გავლენიან წარმომადგენლებს. საქართველოს ზოგიერთი მასობრივი ინფორმაციის საშუალების მტკიცებით, ქალბატონ ბურჯანაძეს აქვს ზომიერი კონტაქტები მოსკოვთანაც.

ქართველი პოლიტოლოგის მურმან კუპრაშვილის სიტყვებით, ამჟამად საქართველოში ყალიბდება რამდენიმე ოპოზიციური ბლოკი. პირველ რიგში ეს არის ირაკლი ალასანიას მომავალი ბლოკი, რომლის გარშემოც „შეუძლია გაერთიანდეს ოპოზიციური პარტიების უმეტესობას“. მეორე დაჯგუფება, ექსპერტის სიტყვებით, იკრიბება ნინო ბურჯანაძის გარშემო, ვისაც შენარჩუნებული აქვს კავშირები სახელისუფლო სტრუქტურებში, აგრეთვე საშუალო და დაბალი რგოლის ბიუროკრატიასთან. ამ დროს ზოგიერთი მეთვალყურე დარწმუნებულია, რომ ოპოზიციას არ გააჩნია შანსი, ვადამდე ჩამოაშოროს მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებას. სტრატეგიული კვლევის კავკასიის ცენტრის ხელმძღვანელის მამუკა არეშიძის სიტყვებით, საუბარი სააკაშვილის უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტის შესახებ კი მიმდინარეობს, მაგრამ ძნელია იმის თქმა, რამდენად საფუძვლიანია ეს ხმები. „ეჭვი მეპარება, რომ სააკაშვილი ნებაყოფლობით წავიდეს ასეთ ნაბიჯზე. ეს მასზე არ არის დამოკიდებული. ჯერ კიდევ არის პრეზიდენტის გუნდი, რომლისთვისაც ასეთი ნაბიჯი სიკვდილის ტოლფასია. ისინი ბევრს დაკარგავენ პრეზიდენტ სააკაშვილის წასვლით, — განაცხადა ბატონმა არეშიძემ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში. — ამის შესახებ საუბრობენ, ერთი მხრივ, ამერიკელები, მეორე მხრივ, კი — რუსეთი. ევროპაშიც აგრეთვე მიაჩნიათ, რომ საქართველოს უნდა ჰყავდეს უფრო მოქნილი პოლიტიკოსი. მაგრამ ზოგიერთს სასურველ სინამდვილედ მიაჩნია და ბუზისგან სპილოს ჰქმნიან“.

ერთ-ერთ შეხვედრაზე საზოგადოებრიობასთან გასულ კვირას მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ამჟამად საუბარიც კი არ შეიძლება ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შესახებ.

**გიორგი დვალი,**
**ვლადიმერ სოლოვიოვი,**

Коммерсант

*(უცხოეთის პრესის მასალები იბეჭდება შემოკლებით).*

პოეზია

## რეზო ამაშუკელი

# ვერ დამამუნჯებ, ვერ წამშლი



„...ვარ ვინმე მესხი, მელექსე...“
გალაკტიონი

გზას
შორით თვალი მოვკარი,
არ დამენახა,
მერჩია!..
– ოცნება რომ ვერ მოვკალი,
სწორედ ამიტომ მერჩიან!

ვხედავ მოყოლილს დელგამში,
დარჩენილთ
უწყლოდ, უპუროდ!
– ღმერთი მომასწრებს, ბეგაშვილს
გორკილდადებულს ვუყურო!..

ეს კიდევ დაატრიალებს
შვიდ ნოემბერზე უარესს!..
– გახსოვთ,
ნიღბებმა ღრიალით
თბილისს ვით გადაუარეს?!.

ჯერ ამათ დამაწიოკეს,
მერე
მომხდურმა მთლიანად!..
თავს ტყუილებით იოკებს –
– „ბიჭი“ ვერ არი ჭკვიანად!..

ვითომ გაიგო ხალხის ხმა,
– ისემც იყოს და იხაროს!
მე მაგის ფლიდი „ქარიზმა“,
რა თავში უნდა ვიხალო?..

ვინღა ვართ? –
– ერი ხიზანთა,
დროშებს რა რიხით ვარხევდით!..
ვიცოდი,
რასაც გვიზამდა,
ეს მატყუარა თავხედი!..

თავზე ლეჩაქი დაგვხურა
იმდენი იავყიავა!
ბოლომდე გაგვანადგურა,
პირწმინდად გაგვანიავა!..

უსამშობლოოო,
ურწმუნო
ხან ტირის, ხანაც მყრალია...
– არავინ დაიწუწუნებს,
რაც არის,
ჩვენი ბრალია!..

– პუტკუნა, ქოსა ყმაწვილის,
ხმა ისმის
ცნობილ არხიდან!
ვისკით ნებივრობს ნაწილი,
ნაწილი
ტყვრება არყითაც!

გადაივსება „შარდენი“
ბოზებითა და
ჯიპებით,
„რევოლუციურ ვარდებით“,
გადმოშიშვლებულ ჭიპებით!..

ამ აქოთებულ „ბომონდის“
ზიზღი თან მსდევდა
ნიადაგ!
– ახლა ისეთი დრო მოდის
ენით ალოკავთ იატაკს!

სიკვდილის შიში, ბეზრული,
ცრემლში თუ გამომესხივა,
მე,
შენგან ხელ-ფეხ შეკრული,
– მესხი ვარ,
მაინც მესხი ვარ!..

ოქრო და ვერცხლით მაძღრებო,
დღე და ღამ
მისთვის ვარჯიშობთ,
რომ უცხო თესლის მოძღვრებით
ქართველი გადააჯიშოთ!..

თქვენ რას დამაკლებთ, გონჯებო!
განზანილს იორდანეში?!.
გასისხლული გაქვთ ღოჯები,
ნაგაზებივით დაგეშილთ!..

უდრეკი ვიყავ მაშინაც,
გებრძოდით მუცლით დაძვრამდე!..
გინდათ, მთლად გადამაშენოთ,
რომ ვერ მივიდე ტაძრამდე!..

– მუნ ყორანივით ჩხაოდა,
ჯუჯა,
ტყის გადამრუჯველი...
– გადმოხვეწილი ტაოდან,
კლარჯი ვარ, არტანუჯელი!..

მესმის ანგელოსთ ჩურჩული,
მიდგას მირონით ჭურჭელი,...
– ვერ დამამუნჯებ,
ვერ წამშლი!
კლარჯი ვარ, არტანუჯელი!..

2008 წ. 14 დეკემბერი

სს „აგროინვესტბანკის“ ყველა კრედიტორ ფიზიკურ პირს, ვის მიმართაც ბანკს გააჩნია გარკვეული დავალიანება, გთხოვთ ერთი თვის ვადაში წარმოგვიდგინოთ დავალიანების დამადასტურებელი საბუთი და მიიღოთ თქვენი კუთვნილი თანხა შემდეგ მისამართზე: დ. ალმაშენებლის გამზ. №79. ტელ: 96-99-68.

სს „აგროინვესტბანკის“ ლიკვიდატორი ქ. ბაქრაძე

განცხადება

სს„ ივერთბანკის“ სალიკვიდაციო კომისია აცხადებს, რომ ის იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებსაც აქვთ რაიმე სახის მოთხოვნა სს „ივერთბანკის“ მიმართ, ვალდებულები არიან, 2009 წლის 25 იანვრამდე გამოცხადდნენ მისამართზე: ქ. თბილისი, ჩიტაიას ქ. №21, მე-3 სართული.

აღნიშნულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი მოთხოვნის ნამდვილობის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული თარიღის გასვლის შემდგომ პრეტენზიები აღარ მიიღება.

ლიკვიდატორი

სს კ/ბ „ბანკი ქართული კაპიტალის“ კრედიტორი ფიზიკური პირების (მეანაბრეების) საყურადღებოდ.

გთხოვთ 2009 წლის 10 იანვრამდე სასწრაფოდ გამოცხადდით სს „ბანკი ქართული კაპიტალის“ სალიკვიდაციო კომისიაში ბანკის მოთხოვნის უფლების გადმოცემის მიზნით. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული თარიღის გასვლის შემდგომ თქვენი პრეტენზიები აღარ მიიღება.

მისამართი: ქ. თბილისი, ჩიტაიას ქ. №21, მე-3 სართული, ტელ: 95-71-42.

ლიკვიდატორი

კომპოზიტორის გზა

# ულალატო ძმა და მეგობარი

**ვახსენებთ შალვა დავითაშვილს და გული გაგვითბება: რამდენი წელია, ჩვენ გვერდით ტრიალებს, ჩვენი სიხარულით ხარობს და მწუხარებით მჭმუნვარებს!** მნიშვნელობა არა აქვს, თანატოლია, უფროსი თუ უმცროსი, კოლეგა თუ არაკოლეგა, დამაშვრალი თუ დასვენებული, აღტაცებული თუ შეჭირვებული – ყოველთვის მოეძევება თბილი და აწონილი, იმედიანი და შვების მომტანი სიტყვა. არც მაშინ დაიხევს უკან, თუ პოზიციის მკვეთრი გამოხატვაა აუცილებელი და სწორედ მისგან მოელიან მიუკერძოებელ დასკვნას. მუდამ გრძნობით შეუვალ მამაკაცურ თვისებებს – პრინციპულობას, კეთილმოსურნეობას, პირდაპირობას. მისგან შორს არის პირმოთნეობა იმის იმედით, რომ საზღაურად რაღაცას მიიღებს. საოცარია ისიც, რომ რაგინდ მწარეც არ უნდა იყოს „განაჩენი“, იოტისოდენა წყენაც არ დაგრჩებათ, ვინაიდან ყოველივე ალალი გრძნობითა და გულწრფელობით არის ნაკარნახევი.

მისი, როგორც კომპოზიტორის წარმატება გამოიკვეთა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებსაც გასცდა. ამაზე, ალბათ, ხელოვნებათმცოდნეები და კოლეგები იტყვიან, მაგრამ არც ჩვენ გაგვიჭირდება მისი გაგებაძროცა მის „ზვიადაურს“, სიმფონიურ პოემას – „9 აპრილს“ თუ სხვა ქმნილებებს მსმენელი ოვაციას უმართავდა, იმ ოვაციაში ჩვენი წილიც იდო! როცა ბუენოს-აირესში მისი კონცერტით აღტაცებული დარბაზი დიდხანს ვერ იოკებდა მადლიერებას... როცა იაროსლავში ისმენდნენ „ვეფხისა და მოყმის ბალადას“, ჩვენც სიამაყის განცდა გვეუფლებოდა.

შალვა დავითაშვილი თანაბარი პოზიციით ცდილობს, იმუშაოს, როგორც სიმფონიურ, ასევე ვოკალურ, საგუნდო, ინსტრუმენტული თეატრის და კინოს მუსიკის შექმნისას. აღსანიშნავია მისი რომანსები და სიმღერები ქართველი პოეტების ლექსებზე.



ბალეტისათვის – „ზვიადაური“, ვოკალურ-სიმფონიური ციკლისათვის – „გულო რას დაჰლონებულხარ“, „გაზაფხული“ და „მთას ვიყავ“, აგრეთვე შერეული გუნდისათვის – „ღამე მთაში“ მიენიჭა ვაჟა ფშაველას პრემია. იგი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეა, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. არის კომპოზიტორთა კავშირის პრემიის ლაურეატი კლარნეტის კონცერტისათვის №3.

დღევანდელ რთულ პერიოდში, როცა ქვეყნის სამეცნიერო კულტურულ დაწესებულებებზეა ლაპარაკი, ნახეთ შალვა დავითაშვილი, მთელ კოლექტივთან ერთად როგორ სათუთად უვლის ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმს, რომელიც ერთ-ერთი საინტერესო კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციაა.

აი, ყოველივე ამის გამო ჩვენც გულწრფელად გვიყვარს ჩვენი შალვა, ამიტომაც ვულოცავთ შემოქმედებითი წვით აღსავსე 75 წელს და იმედსაც ვიტოვებთ, რომ კიდევ არაერთხელ გაგვახარებს!

მრავალჟამიერ!

**მაყვალა მრელაშვილი, ვაჟა ოთარაშვილი, რეზო მიშველაძე, ვაჟა ეგრისელი, ერეკლე საღლიანი, ელგუჯა ლებანიძე, ოთარ ხუციშვილი, ბადრი ქუთათელაძე, ტარიელ ხავთასი, გივი სიხარულიძე, ვალერიან მამუკელაშვილი, გიორგი ბოგველიშვილი.**

მუსიკა

# ორი ფრიად უჩვეულო კონცერტი

**უჩვეულო-მეთქი, თორემ შეიძლებოდა „უნიკალურიც“ მეხმარა, მაგრამ მოვერიდე, რომ სენსაციურობისადმი სწრაფვა არ დამწამონ. დე, თვითონ მკითხველმა განსაჯოს...**

ჯერ პირველი მათგანის შესახებ. კლასიკური მუსიკის მსმენელის 70-წლიანი გამოცდილების მქონე ადამიანი არ შევსწრებივარ და არც გამიგია, რომ კონცერტი სოლისტების როლში გაემართათ ე.წ. კონცერტმაისტერებს ანუ პიანისტ-აკომპანიატორებს (თქვენ გაგიგიათ?).

არადა, სწორედ ასეთი კონცერტის მოწმენი გავხდით ამას წინათ კონსერვატორიის დიდ დარბაზში, როდესაც კლასიკური საფორტეპიანო რეპერტუარის შემსრულებლებად წარმოგვიდგა საოპერო მომზადების კათედრის შვიდი კონცერტმაისტერი. მათ შესაშური პროფესიული ოსტატობა გამოამჟღავნეს, რომელიც დაამშვენებდა ნებისმიერ ცნობილ პიანისტს, ჩვენ კი ხალასი ესთეტიკური სიამოვნება მოგვანიჭეს.



ამ შვიდივე ნიჭიერმა მუსიკოსმა 1991-2007 წლებში დაამთავრა ჩვენი კონსერვატორია. ჩამოვთვალოთ ისინი იმ თანმიმდევრობით, რომლითაც გამოვიდნენ ამ უჩვეულო კონცერტზე: ნინო ლეშკაშელი (შეასრულა ბეთჰოვენის №4 კონცერტის პირველი ნაწილი), ნინო ზაქაიძე (შუმანის კონცერტის II-III ნაწილები), ნანა ცუცქირიძე (გერშვინის „ცისფერი რაფსოდია“), ირინა რამიშვილი (რახმანინოვის №4 კონცერტის პირველი ნაწილი), მარიამ ბეზიაშვილი (რახმანინოვის №2 კონცერტის პირველი ნაწილი), ეკა ჩინჩალაძე (სენ-სანსის №2 კონცერტის პირველი ნაწილი), ირინა აივაზოვა (ამავე კონცერტის მეორე-მესამე ნაწილები).

ყველანი უკრავდნენ ძალზე მუსიკალურად, მაღალ პროფესიულ დონეზე. შეიძლება ითქვას, რომ ნიჭიერმა ქალებმა გააფართოვეს ჩვენი წარმოდგენები პიანისტ-კონცერტმაისტერის, აკომპანიატორის შესახებ. მათი მაგალითი, ალბათ, სხვა კათედრების კონცერტმაისტერებსაც წაახალისებს, რაც, ცხადია, ხელს შეუწყობს მუსიკოსთა პროფესიული ოსტატობის ამაღლებას.

ახლა კი ვახსენოთ ამ მშვენიერი წამოწყების ინიციატორი ანუ როგორც დღეს იტყვიან, პროექტის ავტორი – შესანიშნავი მუსიკოსი, კონსერვატორიის საოპერო მომზადების კათედრის გამგე, დირიჟორი რევაზ ტაკიძე, რომელიც დიდი წარმატებით წაუძღვა ამ ფრიად მასშტაბურ კონცერტს.

არანაკლებ უჩვეულო იყო მეორე კონცერტიც, რომლის გმირები გახლდნენ საფორტეპიანო დუეტის მონაწილეები – ტყუპი დები, ოცი წლის ანი და ნია (შეიძლება, პირიქითაც!) სულხანიშვილები, თბილისის კონსერვატორიის III კურსის სტუდენტები (პედაგოგი – პროფესორი ლალი სანიკიძე).

რაც მე მახსოვს და გამიგონია, „საბჭოთა“ არეალში მუდმივ მოქმედი საფორტეპიანო დუეტი სულ სამი იყო: ძალზე პოპულარული – მირა ბრუკისა და მარკ ტაიმანოვისა (იგივე – ჭადრაკის დიდოსტატი), ძმები ალფრედ და მიხეილ გოტლიბებისა და ჩვენი ქართული – დაუვიწყარი უნიჭიერესი მედიკო ფანიაშვილისა და მისი ღირსეული პარტნიორის მედეა ალთუნაშვილის მონაწილეობით.

და, აი, შეიძლება ითქვას, ჩვენ თვალწინ ჩამოყალიბდა ტყუპი დები სულხანიშვილების (გვარიც რა კარგი აქვთ!) უნიკალური დუეტი. ისინი უკრავენ ოთხ ხელში ერთ როიალზე, უფრო ხშირად კი – ორზე (ცხადია, ცალ-ცალკეც – ინდივიდუალურად).

უნდა ვაღიარო, რომ ჩემი ყველა ცდა, მომეხდინა ტყუპების „იდენტიფიცირება“, უშედეგოდ მთავრდებოდა. ვფიქრობ, მკითხველი გამიგებს, თუ დების ფოტოს შეხედავს.

დუეტის წარმატებული გამოსვლების საწინდარია მუსიკალობა და ტექნიკური გაწაფულობა. სწორედ ასეთად დაგვამახსოვრდა ტყუპების ამასწინანდელი კონცერტი, როდესაც მათ შეასრულეს მოცარტის, შუბერტის, დვორჟაკის, რახმანინოვის, აზარაშვილის ნაწარმოებები ოთხი ხელისათვის.

მოკლედ, სიმპათიური ქალიშვილების ბიოგრაფიის შესახებ. ისინი დაიბადნენ და დღემდე ცხოვრობენ ქსანში. მუსიკალური ათწლედი დაამთავრეს და კონსერვატორიის მე-3 კურსზე სწავლობენ ქ-ნ ლალი სანიკიძესთან. ამ წლებში დები და მათი მასწავლებელი დროს არ კარგავდნენ, გახდნენ სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატები, გამოდიოდნენ უცხოეთის სხვადასხვა პრესტიჟულ საკონცერტო ესტრადაზე, ხოლო რამდენიმე თვის წინ I პრემია მოიპოვეს საერთაშორისო კონკურსზე სან-მარინოში.

ნიჭიერ ქალიშვილებს ყველაფერი წინ აქვთ. ვუსურვოთ მათ ახალი შესანიშნავი წარმატებები.

**გულბათ ტორაძე**

კარატე



# გოჩაძის „დუბლი“

**ამ დღეებში არმიის სასპორტო კლუბის დარბაზმა კავკასიის თასის ტრადიციულ გათამაშებას უმასპინძლა კუმიტეში. სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის კარატისტთა პრესტიჟული ასპარეზობა საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციისა (კახა ბასილიაძ და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის (დავით ნამგალაურიძ ეგიდით გაიმართა.** აღსანიშნავია, რომ რეგიონული ტურნირის მთავარი მსაჯი მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის შეფინსტრუქტორი, მე-8 დანის მფლობელი, იაპონელი ჰიტოში კასუია გახლდათ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჯილდოების დიდი ნაწილი საქართველოში დარჩა. განსაკუთრებით ისახელეს თავი კარატე-დოს კლუბ „შოტოკანის“ (უფროსი ინსტრუქტორი – ჭაბუკა მახარაძეძ აღსაზრდელებმა, რომლებმაც 8 მედალი მოიპოვეს. აი, მათი ნუსხა, ვინც კვარცხლბეკზე ავიდნენ.



**I ადგილები:** ბაჩო გოჩიაშვილი (6 წლის, + 25 კგძ, ნანა ლომიძე (7 წლისძ.

**II ადგილები:** არჩილ ლომიძე (9 წლის, – 35 კგძ, გიორგი გოჩაძე (10 წლის, – 45 კგძ, გიორგი ნადაშვილი (13 წლის, – 40 კგძ.

**III ადგილები:** შოთა ლაკია (9 წლისა, – 40 კგძ, გიორგი გოჩაძე (10 წლის, – 35 კგძ, აკაკი გივიაშვილი (12 წლის, – 30 კგძ.

მიაქცევდით, ალბათ, ყურადღებას, რომ გიორგი გოჩაძე „ვერცხლსა“ და „ბრინჯაოს“ ერთბაშად ორ წონით კატეგორიაში დაეუფლა. მას ამის საშუალება შეჯიბრების დებულებამ მისცა.

დავძენთ, რომ კლუბ „შოტოკანის“ თავკაცმა ჭაბუკა მახარაძემ მადლიერებით მოიხსენია 166-ე საჯარო სკოლის დირექტორი ირმა ომანაძე, სადაც მისი შეგირდები ვარჯიშობენ.

ძიუდო

# მეგობრობის დარბაზი გაიხსნა

**ამას წინათ დიღომში ოლიმპიური ჩემპიონის შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემია გაიხსნა სამი დარბაზითურთ. სპორტულმა კომპლექსმა პირველ შეჯიბრებასაც უმასპინძლა.** გუშინ აქაურობას ესტუმრა საქართველოში იაპონიის ელჩი მასამიტუ ოკი, რომელმაც ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ დილარ ხაბულიანთან ერთად საზეიმოდ გაჭრა ლენტი საქართველო-იაპონიის მეგობრობის დარბაზისა, რომელიც ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლების დახმარებით ჩადგა მწყობრში. ცერემონიალს ესწრებოდნენ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი, პირველი ვიცე-პრეზიდენტი რამაზ გოგლიძე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, თბილისის მერიის



სპორტის სამსახურის უფროსი ზაზა დოლიძე, ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი შენგელი ფიცხელაური, გენერალური მდივანი ანზორ მარტყოფლიშვილი, ოლიმპიური ჩემპიონები – შოთა ჩოჩიშვილი, დავით გობეჯიშვილი და სხვები.

იაპონიის ელჩმა მასპინძლებს ძიუდოს ფუძემდებლის ძიგარო კანოს სურათი გადასცა და დამსწრეთ აღუთქვა, რომ ქართველებს დახმარების ხელს მომავალშიც გაუწვდიან.

**სურათზე: დარბაზის საზეიმო გახსნისას.
ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

კიკბოქსინგი

# გამარჯვებულებს — ოქროს ქამრები

**საქართველოს უნივერსალური ორთაბრძოლებისა და ორიენტალის ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი – სოსო დოლიძეძ ინიციატივით თბილისის მძლეოსნობის სასახლეში სამ დღეს გრძელდებოდა ევრაზიის სამხრეთის ქვეყნების ღია ტურნირი ჩემპიონის ქამრებზე სამ ასაკობრივ ჯგუფში.** უნივერსალურ ორთაბრძოლებში საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ირანისა და რუსეთის წარმომადგენლები ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. ოცდაოთხიდან რვა წონით კა-



ტეგორიაში საქართველოდან ჩემპიონები გახდნენ გიორგი გენგაშვილი, დავით მუჩიაშვილი (ორივე – საგარეჯოძ, გია ჭილლაძე, ნიკა ბლუაშვილი, რაულ თუთარაული (სამივე – გორიძ, პაატა ბაირახტარი (თბილისიძ, თემურ ღლონტი და დავით სარიშვილი (ორივე – სენაკიძ. დანარჩენ წონებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ აზერბაიჯანელები (8ძ, სომხები (5ძ, ირანელები (2ძ და რუსები (1ძ.

გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ; ჩემპიონებს ოქროს ქამრებიც გადაეცათ.

შეჯიბრებას კარდიოლოგიური კლინიკა „ღია გულის“ მედპერსონალი ემსახურებოდა.

ცურვა

# მსოფლიო რეკორდმა ერთი კვირა გაძლო

**ამას წინათ ვიტყობინებოდით, რომ ხორვატეთის რიეკში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ცურვაში მოკლე წყალზე 100 მეტრზე პირაღმა ცურვაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა რუსეთელმა სტანისლავ დონცამა – 49,32. ეს იყო 14 დეკემბერს. რეკორდმა მხოლოდ ერთ კვირას „იცოცხლა“.**

და აი, 21 დეკემბერს მადრიდში ისევ მოკლე წყალზე (25-მეტრიან აუზშიძ 22 წლის ესპანელმა აშვინ ვილდებოერმა ესპანეთის ჩემპიონატის ჩარჩოებში კომბინირებულ ესტაფეტაში ეს რეკორდი დაამხო. მისი შედეგია 49,20 წამი.

„ეს შედეგი მშვენიერი კომპენსაციაა იმ მძიმე შრომისა, რაც მე გავწიე“, – განაცხადა ესპანელმა მოცურავემ.



ინტერნეტიდან

## სიკვდილისგან იხსნეს

**როგორც ავსტრალიური ფრიმანტლიდან იტყობინებიან, ამ ქვეყნის სამეფო სამხედრო-საზღვაო ძალების ფრეგატ Arunta-ზე დამთავრდა დედამიწის გარშემო მარტოდმარტო ნავსადგურებში შეუსვლელად რბოლის Vendee Globe მონაწილის, ფრანგი მეიახტის იანა ელის ხსნის ოპერაცია. მან ფეხი სერიოზულად მოიტეხა.**

ფრეგატის ექიმებმა გასინჯეს ელი და აღნიშნეს, რომ ის სასიკვდილოდ იყო განწირული, დახმარებას დროზე რომ არ მოესწრო. ფრანგმა ნაოსანმა ძლიერი ტკივილების გამო ვერ შეძლო სამგზავრო აფთიაქამდე მისვლა და ტკივილგამაყუჩებელი წამლების, აგრეთვე წყლისა და საჭმელის მიღება. მან მრავალი საათი უძრავად გაატარა უმართავ იახტაში.

ერთ დღე-ღამეზე მეტხანს ელის იახტას მიაცილებდა რბოლის მეორე მონაწილე მარკ გიუიემო – ის დედამიწის გარშემო რბოლის შტაბბინას დაუკავშირდა პარიზში და მორალურად ამხნევებდა დაზარალებულს.



## ბრაზილიური კარნავალი „მილანში“

**როგორც გუშინ უკვე გაცნობეთ, იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-17 ტურში „მილანმა“ დიდი ანგარიშით 5:1 დაამარცხა ამ ცოტა ხნის წინათ გათამაშების ლიდერი „უდინეზე“.**




გულშემატკივრებმაც და სპეციალისტებმა ამ ბრწყინვალე გამარჯვებას შობის დღესასწაულის წინ „მილანის“ ბრაზილიური კარნავალი უწოდეს, ლამაზი კომბინაციებისა და გოლების ფეიერვერკით. მე-4 და მე-18 წუთზე გოლები პატუმ გაიტანა, მე-13 და 52-ე წუთზე – კაკამ, ხოლო 43-ე წუთზე კი ზეედორფმა. საპასუხო ერთადერთი გოლი მე-17 წუთზე დი ნატალემ გაიტანა.

დიახ, კაკა, პატუ და რონალდინიუ იყვნენ ამ დიდი გამარჯვების მთავარი ბრაზილიელი შემოქმედნი, სწორედ ამან შეუქმნა „მილანს“ სკუდეტოს მოპოვების დიდი იმედი.

„მილანში“ დაბრუნებული უკრაინელი თავდამსხმელი ანდრეი შევჩენკო მინდორზე 71-ე წუთზე გამოვიდა, ქართველი მცველი კახი კალაძე კი 81-ე წუთზე შეცვალეს.

როგორც ამბობენ, „უდინეზეს“ პრეზიდენტი ჯანპაოლო პოცო დარწმუნდა, რომ მოთამაშეებს დ' აგოსტინოს, კვალიარელოსა და დი ნატალეს მთავარ მწვრთნელთან პასკუალო მარინოსთან დაპირისპირებაში სიმართლე ფეხბურთელების მხარესაა და ალბათ შორს არაა მწვრთნელის გადაყენების დღე.

## ლამაზმანი დას დაეწია

**მამაკაცებისთვის განკუთვნილი ჟურნალისთვის მორიგი პიკანტური ფოტოსერიის შემდეგ თავის უფროს დას ჯულიას დაეწია ცნობილი ჩრდილოამერიკელი მოდელი და ლამაზმანი ემი მაკარტი. მათ ხომ ბოლო ხანებში საზოგადოებრიობა აალაპარაკეს.** ჯულია ბოლო ხანებში პოპულარულ კომიკოსს ჯიმი კერის ხვდება. ასე რომ, პრესის უყურადღებობით ნაწყენი როდია. უმცროსმა კი გზა გაიკაფა სამოდელო ბიზნესსა და ჟურნალ „პლეიბოისკენ“. თუმცა ჯერჯერობით უფროსი და სჯობს, – ის მსახიობიცაა და ტელევარსკვლავიც. სამაგიეროდ, პირად ცხოვრებაში უფრო წარმატებულია ემი. შარშან ივლისში ის გათხოვდა „კოლორადოს“ ჰოკეისტ დენ ჰინოტზე და ძალზე ბედნიერიცაა. ჰოკეისტი იმითაცაა გახარებული, რომ მისი ცოლის ფოტოსურათები უამრავ მამაკაცს მოსწონს.



საქმე №2/503-08

# დაუსწრებელი გადაწყვეტილება

## საქართველოს სახელით

9 დეკემბერი 2008 წელი ქ. თბილისი.

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**
**მოსამართლე – სოფიო მაჭავარიანი**
**სხდომის მდივანი – თამარ დალაქიშვილი**
**მოსარჩელე – შპს „ვაგი“, დირექტორი – გიორგი ვაშაკიძე, წარმომადგენელი – მამუკა ჯაშიაშვილი**
**მოპასუხეები: ნიკოლოზ ალადაშვილი, ზურაბ ანანიაშვილი, ბადრი მოლაშხია, გივი გაჩეჩილაძე, ნიკოლოზ გედენიძე, პაატა კაპანაძე, ლამარა მჭედლიძე, გიორგი ნიშნიანიძე, ვიქტორ ოყრეშიძე, ელგუჯა უნდილაშვილი, გიორგი ქიმერიძე, მარინე ყიფშიძე, დავით შალიკაშვილი, ილია ჩათლაშვილი, სს „დავით ალმაშენებელი“, შპს „ა.მ.ს“, შპს „ლადი აუდიტი“, შპს „ლუსანი“, შპს „ხოხობი“.**
**დავის საგანი – საზოგადოებიდან პარტნიორების გარიცხვა**

### გამოარკვია:

2008 წლის 17 იანვარს შპს „ვაგის“ დირექტორმა გიორგი ვაშაკიძემ სარჩელით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების: ნიკოლოზ ალადაშვილის, ზურაბ ანანიაშვილის, ბადრი მოლაშხიას, გივი გაჩეჩილაძის, ნიკოლოზ გედენიძის, პაატა კაპანაძის, ლამარა მჭედლიძის, გიორგი ნიშნიანიძის, ვიქტორ ოყრეშიძის, ელგუჯა უნდილაშვილის, გიორგი ქიმერიძის, მარინე ყიფშიძის, დავით შალიკაშვილის, ილია ჩათლაშვილის, სს „დავით ალმაშენებელის“, შპს „ა.მ.ს-ის“, შპს „ლადი აუდიტის“, შპს „ლუსანის“, შპს „ხოხობის“ მიმართ განმარტა, რომ 2004 წლის 25 ივნისს ს.ს. „ვაგის“ აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შეცვლის შესახებ. საზოგადოება ჩამოყალიბდა შპს „ვაგის“ ფორმით და დარეგისტრირებულ იქნა გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს მიერ 2004 წლის 29 ივნისის დადგენილებით. რეორგანიზაციის შედეგად ს.ს-ის აქციონერები გახდნენ შპს-ს დამფუძნებლები. მათი წილი საწარმოს საწესდებო კაპიტალში განისაზღვრა შემდეგნაირად: გიორგი ვაშაკიძე – 70.833 პროცენტი, გიორგი ახვლედიანი – 21,44 პროცენტი, ს.ს. „ვანო და კომპანია – 5.417 პროცენტი, ბადრი ვაშაკიძე – 0,03 პროცენტი, მანანა სიმონიშვილი – 0,02 პროცენტი, ნიკოლოზ ალადაშვილი – 0,02 პროცენტი, ზურაბ ანანიაშვილი – 0,4 პროცენტი, ბადრი მოლაშხია – 0,02 პროცენტი, გივი გაჩეჩილაძე – 0,02 პროცენტი, ნიკოლოზ გედენიძე – 0,1 პროცენტი, პაატა კაპანაძე – 0,02 პროცენტი, ლამარა მჭედლიძე – 0,2 პროცენტი, გიორგი ნიშნიანიძე – 0,2 პროცენტი, ვიქტორ ოყრეშიძე – 0,04 პროცენტი, ელგუჯა უნდილაშვილი – 0,04 პროცენტი, გიორგი ქიმერიძე – 0,2 პროცენტი, მარინე ყიფშიძე – 0,1 პროცენტი, დავით შალიკაშვილი – 0,04 პროცენტი, ილია ჩათლაშვილი – 0,02 პროცენტი, ს.ს. „ალმაშენებელი“ – 0,2 პროცენტი, შპს „ა.მ.ს.“ – 0,4 პროცენტი, შპს „ლადი აუდიტი“ – 0,02 პროცენტი, შპს „ხოხობი“ – 0,2 პროცენტი.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეები საზოგადოების დაფუძნების დღიდან არ ახორციელებდნენ კანონით გათვალისწინებულ დამფუძნებელ პარტნიორთა უფლებებს და მოვალეობებს. არ იღებდნენ მონაწილეობას საზოგადოების საერთო კრების ჩატარებაში. საზოგადოება არ ფლობს სრულყოფილ მონაცემებს მათ შესახებ, რაც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, აუცილებელ პირობას წარმოადგენს საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემებში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების რეგისტრაციისათვის.

2007 წლის 27 ნოემბერს ჩატარდა შპს „ვაგის“ დამფუძნებელ პარტნიორთა კრება, რომელსაც ესწრებოდნენ საწარმოს საწესდებო კაპიტალის 70.883 პროცენტის მფლობელი პარტნიორები. კრების მოწვევის დროს დაცული იყო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47.4-ე და 47.5-ე მუხლების მოთხოვნები. კრებაზე ღია კენჭისყრით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საზოგადოებიდან ზემოთ აღნიშნული პარტნიორების გარიცხვის თაობაზე. მათი წილის 2.26 პროცენტის კომპენსაციის პროპორციულად გაცემა დაევალა საზოგადოების პარტნიორს გიორგი ვაშაკიძეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ვაგის“ დირექტორმა სასარჩელო განცხადებით მოითხოვა შპს „ვაგის“ პარტნიორობიდან გარიცხულ იქნენ: ნიკოლოზ ალადაშვილი, ზურაბ ანანიაშვილი, ბადრი მოლაშხია, გივი გაჩეჩილაძე, ნიკოლოზ გედენიძე, პაატა კაპანაძე, ლამარა მჭედლიძე, გიორგი ნიშნიანიძე, ვიქტორ ოყრეშიძე, ელგუჯა უნდილაშვილი, გიორგი ქიმერიძე, მარინე ყიფშიძე, დავით შალიკაშვილი, ილია ჩათლაშვილი, სს „დავით ალმაშენებელი“, შპს „ა.მ.ს“, შპს „ლადი აუდიტი“, შპს „ლუსანი“, შპს „ხოხობი“.

2008 წლის 28 მარტს მოსარჩელის წარმომადგენელმა მამუკა ჯაშიაშვილმა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, მოითხოვა შპს „ვაგის“ სარჩელის, თანდართული მასალების და სასამართლო სხდომის დღის მოპასუხეთათვის პუბლიკაციის მეშვეობით საჯარო შეტყობინება.

სასამართლოს 2008 წლის 2 აპრილის განჩინებით შპს „ვაგის“ სარჩელი, თანდართული მასალები და სასამართლო სხდომის დღის შესახებ განჩინება გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2008 წლის 12 აპრილის გამოცემაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შესაგებლებით მომართეს მოპასუხეებმა: ვიქტორ ოყრეშიძემ, ლამარა მჭედლიძემ და ზურაბ ანანიაშვილმა, სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ ისინი კანონით დადგენილი წესით არ ყოფილან მიწვეულნი საზოგადოების საერთო კრებაზე და არ არსებობდა მათი გარიცხვის საფუძველი.

პუბლიკაციის მეშვეობით საჯარო შეტყობინების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 ნოემბრის განჩინებით მოპასუხეებს ეცნობათ სხდომის დღის შესახებ. საქმეზე მთავარი სხდომის ჩატარება განისაზღვრა 2008 წლის 9 დეკემბერს 12 საათზე. აღნიშნული განჩინება გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 2008 წლის 29 ნოემბერს.

2008 წლის 9 დეკემბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ მოპასუხეების: ვიქტორ ოყრეშიძის, ლამარა მჭედლიძის, ზურაბ ანანიაშვილისა და შპს „ლადი აუდიტის“ მიმართ მოთხოვნაზე უარი განაცხადა და მათ მიმართ სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა. ხსენებული შუამდგომლობა ამავე სხდომაზე დაკმაყოფილდა საოქმო განჩინებით და მათ ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა.

მოსარჩელემ აქვე განმარტა, რომ შპს „ვაგის“ რეგისტრაციის შესახებ, ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 29 ივნისის დადგენილების შესაბამისად, შპს „ვაგის“ ერთ-ერთ პარტნიორად რეგისტრირებულია შპს „ხოხობი-60“, თუმცა სარჩელში დაშვებული უზუსტობა და ერთ-ერთ მოპასუხედ მითითებულია შპს „ხოხობი“, ვინაიდან იგივე უზუსტობა დაშვებული იქნა სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში, სადაც შპს „ხოხობი-60“-ის ნაცვლად მითითებულია შპს „ხოხობი“. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა მოცემულ ნაწილში და მოითხოვა შპს „ვაგის“ პარტნიორობიდან გარიცხული იქნეს შპს „ხოხობი-60“ ნაცვლად შპს „ხოხობისა“.

ამავე, 2008 წლის 9 დეკემბერს გამართულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე შპს „ვაგის“ წარმომადგენელმა საქმის წარმოების შეწყვეტის შემდეგ დარჩენილი მოპასუხეების მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა, რომლითაც სარჩელი იქნებოდა დაკმაყოფილებული იმ მოტივით, რომ სხდომაზე არ გამოცხადდნენ მოპასუხეები.

სასამართლომ განიხილა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ შპს „ვაგის“ სარჩელზე მიღებულ უნდა იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩატარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება მხარისთვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

საქმის მასალებით დგინდება, რომ 2008 წლის 9 დეკემბერს საქმეზე მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ სასამართლოს განჩინება გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ და მოპასუხეებს სწორედ საჯარო შეტყობინების გზით ეცნობათ სასამართლო სხდომის შესახებ, რაც გულისხმობს, რომ მხარეთათვის ჩაბარება განხორციელებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხეების: ნიკოლოზ ალადაშვილის, ბადრი მოლაშხიას, გივი გაჩეჩილაძის, ნიკოლოზ გედენიძის, პაატა კაპანაძის, გიორგი ნიშნიანიძის, ელგუჯა უნდილაშვილის, გიორგი ქიმერიძის, მარინე ყიფშიძის, დავით შალიკაშვილის, ილია ჩათლაშვილის, სს „დავით ალმაშენებელის“, შპს „ა.მ.ს-ის“, შპს „ლუსანის“, შპს „ხოხობი-60“ შპს „ვაგის“ პარტნიორობიდან გარიცხვის თაობაზე დასაბუთებულია და იურიდიულად ამართლებს მოთხოვნას, რის გამოც იგი უნდა დაკმაყოფილდეს და მოპასუხეები გარიცხულ იქნენ კანონით დადგენილი წესითა და პირობებით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე, 233-ე, 234-ე, 236-237-ე მუხლებით და

### გადაწყვიტა:

1. შპს „ვაგის“ სარჩელი მოპასუხეების: ნიკოლოზ ალადაშვილის, ბადრი მოლაშხიას, გივი გაჩეჩილაძის, ნიკოლოზ გედენიძის, პაატა კაპანაძის, გიორგი ნიშნიანიძის, ელგუჯა უნდილაშვილის, გიორგი ქიმერიძის, მარინე ყიფშიძის, დავით შალიკაშვილის, ილია ჩათლაშვილის, სს „დავით ალმაშენებელის“, შპს „ა.მ.ს-ის“, შპს „ლუსანის“, შპს „ხოხობი-60“ შპს „ვაგის“ პარტნიორობიდან გარიცხვის თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. მოპასუხეებს შპს „ვაგის“ სასარგებლოდ თანაბარწილად დაეკისროთ მოსარჩელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი 100 (ასი) ლარის ანაზღაურება;

3. დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრდება საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მხარისათვის მისი ჩაბარების დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

**მოსამართლე სოფიო მაჭავარიანი**

საქმე №2/435-2008

# განჩინება

## საჯარო შეტყობინების შესახებ

19 დეკემბერი 2008 წელი ქ. ქუთაისი

**ქუთაისის საქალაქო სასამართლო**

**მოსამართლე – ირაკლი ლეკვეიშვილი**
**სხდომის მდივანი – კობა მოდებაძე**
**მოსარჩელე – გულიკო ჩხიკვაძე,**
**წარმომადგენელი – თამარ ხუბეჯაშვილი**
**მოპასუხე – ელისო შენგელია.**
**დავის საგანი – თანხის დაკისრება.**

### გამოარკვია:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მომართა გულიკო ჩხიკვაძემ ელისო შენგელიას მიმართ და მოითხოვა მის სასარგებლოდ სესხის ძირითადი თანხის 7000 ლარის, ასევე ვალდებულების შეუსრულებლობის ვადის გადაცილების გამო სადავო თანხის 3 პროენტის 1260 ლარის, ადვოკატის მომსახურების თანხის 500 ლარის და სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის, სულ 9001 ლარის გადახდა.

მოსარჩელემ მოპასუხის საცხოვრებელ ადგილად მიუთითა ქ. ქუთაისი, დავითაშვილის ქ. №29;

სასამართლო კურიერის მიერ წარმოდგენილი გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათში აღნიშნულია, რომ „ელისო შენგელია დიდი ხანია არ ცხოვრობს მითითებულ მისამართზე“.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით. საჯარო შეტყობინება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის ადმინისტრაციულ ერთეულში.

განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო განცხადებაში მითითებულ მისამართზე ვერ ხერხდება მოპასუხე ელისო შენგელიასათვის სასამართლო უწყების ჩაბარება, რის გამოც ჭიანურდება საქმის განხილვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია გამოიტანოს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-ე-285-ე მუხლებით

### დაადგინა:

1. განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.

2. ეცნობოს მოპასუხე ელისო შენგელიას, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ წარმოებაშია მიღებული გულიკო ჩხიკვაძის სარჩელი ელისო შენგელიას მიმართ თანხის დაკისრების შესახებ.

3. ეცნობოს მოპასუხეს, რომ გულიკო ჩხიკვაძის სარჩელისა გამო ელისო შენგელიას მიმართ – თანხის დაკისრების თაობაზე, სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნულია 2009 წლის 6 იანვარს 14 საათზე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11ძ.

4. ეცნობოს მოპასუხეს ელისო შენგელიას, რომ, თუკი იგი ან მისი უფლებამოსილი პირი ვერ გამოცხადდება სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ვალდებულია გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე წინასწარ აცნობოს სასამართლოს. მთავარ სხდომაზე მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, თუკი მოსარჩელე იშუამდგომლებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

5. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**მოსამართლე ირაკლი ლეკვეიშვილი**

**ნათია, თამარ, ნინო, ლია და გელა ლობჟანიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან**
**ნანა ბაიანოვას**
**ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.**

**ინფორმაცია**

## პატიმრის გასათავისუფლებლად ფული ჩაიჯიბეს

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა დიდი ოდენობით თანხის გამოძალვაში ექვმიტანილი შოთა მაცაბერიძე, გელა გიგაშვილი და კობა (კირილე) თორაძე დააკავეს.**

**როგორც მთავარი პროკურორის მოადგილემ დავით საყვარელიძემ განაცხადა, აღნიშნული პირები ექვმიტანილები არიან 2008 წლის 23 ნოემბერს ქალთა და არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან შეწყალებით გათავისუფლებული სოფიო ასათიანისგან ფულის გამოძალვაში.**

**მისივე თქმით, ექვმიტანილები ასათიანს ჯერ, 15 000 შემდეგ კი, 10 000 აშშ დოლარს სძალავდნენ.**

**შოთა მაცაბერიძე 18 დეკემბერს თანხის გადაცემის დროს დააკავეს, ხოლო დანარჩენები მოგვიანებით.**

**გამოძალვაში კიდევ ერთი ექვმიტანილი, შეწყალების კომისიის წევრი ოთარ ხურციძე ამჟამად გამოძიებას ემალება.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ სულიერება

## ყველაწმინდა — საქართველოში წამებული და ღირსნი მამანი და დედანი

**24 დეკემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ყველაწმინდას — საქართველოში წამებულ ღირს მამებს და დედებს...**

საქართველოს მებრძოლი ეკლესიიდან ზეციურ მეღლესასწაულე ეკლესიაში ამაღლებულ ქრისტიანეთა ჩამოთვლა შეუძლებელია და, მით უმეტეს შეუძლებელია მათი ღვაწლის აღწერა.

სწორედ ამ შეუძლებლობის გამო წერია დღევანდელი დღის მოსახსენებელში, რომ „საქართველოში წამებულთა დედათა და მამათა შორის უნდა ვიგულისხმოთ“: და ყველასთვის ცნობილ წმიდათა სახელებს გარდა, ქართული ანბანის მიხედვით ჩამოთვლილია მამათა და დედათა სამასამდე ქართული წარმოშობის სახელი.

ყველა ქართველს გილოცავთ დღევანდელ დღეს!

**გიული ლიპარტია**

◉ „შეჩერდი, წამო!“

## მოგზაურობა გოდერძი ჩოხელის სამყაროში

**ჭეშმარიტ ხელოვანთა შემოქმედება რომ მუდამ ცოცხალია, ამას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VII კორპუსში გამართული საღამოც ადასტურებს. სტუდენტებმა გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებები სცენაზე გააცოცხლეს და კიდევ ერთხელ დაგვაფიქრეს იმ ღირებულებებზე, რომლებიც ჩვენს დროში თითქოს გაფერმკრთალდა.**



კიბე ავიარე თუ არა, ორ დიდ სტენდზე გამოფენილი გოდერძი ჩოხელის ლექსები და პროზაული ნაწარმოებების ნაწყვეტები მომხვდა თვალში. რიგში ჩადგომაც კი დამჭირდა, რომ თვალი ცოტა ხნით მაინც შემევლო მათთვის, რადგან სტუდენტები უკვე სცენაზე ასულიყვნენ და მწერლის სულიერ სამყაროში მთელი მონდომებით დაეწყოთ მოგზაურობა.

ჯერ ეკრანზე შეჩერდა ჩვენი გაფაციცებული მზერა, სადაც ბაკურხეველი ხევსური ქმნიდა საკუთარ ბედისწერას. ბევრმა არც იცოდა, რომ ეს გოდერძის ფილმი იყო და არც ფილმი ენახა. თითქოს სცენაზე აჟღერებული ხალხური ჰანგებით ვიგრძენით ხევსურეთის მთების გრილი სუნთქვა. ამის შემდეგ სტუდენტების წარმოდგენამ ხევსურების სამყაროს გვაზიარა. გვენანებოდა არხოტის, გარსიას, მისი ვაჟების და მეზობლების მიტოვება. გვსურდა, ისინი მარად ჩვენს გვერდით დარჩენილიყვნენ. სწორედ ასეთ დროს აღმოხდება ადამიანს: „შეჩერდი წამო, მშვენიერი ხარ!“ მერე ისევ ხევსურული ჰანგების თანხლებით დავბრუნდით ჩვენს სამყაროში. ცხოვრება გაუსაძლისი იქნებოდა, გოდერძი ჩოხელის მსგავსნი რომ არ არსებობდნენ და მოღვაწეობით არ გვილამაზებდნენ ყოფას. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ჩვენ, ქართველები, მხოლოდ ადამიანის გარდაცვალების შემდეგ ვგრძნობთ მის ფასს და ზოგჯერ სინანულსაც ვექლევით.

მთავარი მაინც ის არის, რომ შეცდომების გამოსწორება შევძლოთ, თუნდაც დაგვიანებით. ამჯერად ინიციატივა სტუდენტებმა აიღეს საკუთარ თავზე. მათი მოგზაურობა გოდერძი ჩოხელის ჯადოსნურ სამყაროში დაუვიწყარი აღმოჩნდა. მაყურებლები ემოციებით, სინანულითა და, ამავდროულად სიხარულით დახუნძლულები ვტოვებდით დარბაზს, სადაც ამდენი სითბო და სიყვარული მოგვანიჭა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებამ.

**ანა წიწილაშვილი**

◉ ანეკდოტები

**თუ ხალხი ხმას არ იღებს, ესე იგი ჯერ კიდევ აქვს რაღაც საცოხნელი.**

* * *

**— საყვარელო, ახლა უნდა დაგსაჯო, — ეუბნება დილაადრიან ქმარი საწოლში ახალგაზრდა ცოლს.**

**— კარგი, ძვირფასო, მზად ვარ, დამსაჯე მე, ცუდი გოგო!**

**— მაშ წამოხტი და ნაგავი გადაყარე.**



* * *

**მეამწე პეტროვს 30 მეტრის სიმაღლიდან არყის ბოთლი გადმოუვარდა. იგი, საბედნიეროდ, არ გატეხილა, რადგან მიწამდე სულ რამდენიმე სანტიმეტრში დაიჭირა ოდნავ აქოშინებულმა და ძალიან შეშინებულმა პეტროვმა.**

* * *

**ოპერაცია „სუფთა ხელები“ — იმ მამაკაცების ძებნა, ვისაც ქორწინების ბეჭედი არ უკეთია.**

* * *

**მიხოს სამსახურში ერთი საათით დააგვიანდა და სამუშაოზე შებინტული გამოცხადდა.**

**— რად დააგვიანე? — ეკითხება უფროსი.**

**— მეხუთე სართულიდან გადმოვვარდი.**

**— ეს როგორ, მთელი საათი ვარდებოდი?**

* * *

**სხვის პოზიციაზე დგომა სასარგებლოა, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ შენი პოზიცია სხვებმა არ გათელონ.**

## ძვირფასო მკითხველო!

# ჩვენს გაზეთზე ხელმოწერა გაიაფდა!



### თქვენი თანადგომისა გვჯერა

ფინანსური და ზნეობრივი პრობლემებით სავსე საქართველოში გაზეთმა **„საქართველოს რესპუბლიკამ“** შეინარჩუნა თავისი აკადემიური ტონი, პრინციპულობა და მიუკერძოებლობა, სითამამე და სიმართლე. ჩვენთვის არ არსებობს ყალბი ავტორიტეტები, ტაბუდადებული თემები, აკრძალული პრობლემები.

მკითხველთა აღიარებით **„საქართველოს რესპუბლიკა“** ყველაზე სანდო, დახვეწილი, კარგი ქართულით გამორჩეული, ტრადიციული, ჭეშმარიტად ეროვნული გაზეთია.

წლეულს, გაგანია ომის წინა დღეებში, **„საქართველოს რესპუბლიკას“** 90 (ოთხმოცდაათი) წელი შეუსრულდა!

რედაქცია, მიუხედავად თავისი მძიმე ფინანსური მდგომარეობისა, მოსახლეობის შეჭირვებული ყოფა-ცხოვრების გათვალისწინებით, გაძვირების ნაცვლად 2009 წლის იანვრიდან აიაფებს გაზეთზე ხელმოწერის ფასს. ამიერიდან „საქართველოს რესპუბლიკა“ ერთი თვით მხოლოდ 10 ლარი ეღირება!

**ჩვენო ერთგულო მკითხველო! — შეატყობინეთ ყველას გაზეთის გაიაფების ამბავი და გამოიწერეთ ყოველდღიური, ყველაზე გაწონასწორებული, ყველაზე სანდო, ყველაზე ეროვნული „საქართველოს რესპუბლიკა“!**

შეგახსენებთ იმ ორგანიზაციებს, სადაც გაზეთზე ხელმოწერა შეგიძლიათ: მაცნე — 37-47-49; 25-33-88; საქპრესა — 51-59-05; პრესექსპრესი — 93-66-78; ჯეომედია — 95-51-70; ინფო-2007 — 34-11-40; ელვა სერვისი — 38-80-02; პლანეტა ფორტე — 98-89-90; პილონი — 35-59-53; რუბიკონი — 96.45.69.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ აგრეთვე უშუალოდ რედაქციაში — კოსტავას ქ. №12. დაგვიკავშირდით ტელეფონებზე — 98.65.87, 899 79.76.79; 899 56.81.86.

**ბიზნესმენებს და რეკლამის ორგანიზატორებს შევახსენებთ, რომ ჩვენთან რეკლამა ყველაზე იაფი და მომგებიანია!**

**გაიაფების შემდეგ გაზეთზე ხელმოწერა სამი თვით ღირს 30 ლარი, ექვსი თვით — 60 ლარი, ერთი წლით — 120 ლარი.**

**ჩვენი ინდექსია — 66434**

**თქვენი თანადგომა ჩვენი გაზეთის აღორძინების ერთადერთი გზაა.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ, გაზეთი, რომელსაც ჩვენი სამშობლოს სახელი ჰქვია!**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

◉ ხუმარსიტყვა

მიხომ ტელევიზორი პირველ არხზე ჩართო — ქვეყნის პრეზიდენტი ტყიბულელ მეშახტეებთან „ურტყამდა რეჩს“. გადართო „რუსთავი-2“-ზე — ტყიბულელ მეშახტეებთან ქვეყნის პრეზიდენტი „რეჩს ურტყამდა“. გადართო „იმედზე“ — „რეჩს“ ქვეყნის პრეზიდენტი ტყიბულელ მეშახტეებთან „ურტყამდა“. „მზეზეც“ რომ გადართო, სააკაშვილმა ეკრანიდან თითი დაუქნია:

— ერთ არხზე დაეგდე, მიხო, თორემ გაჩვენებ, გადართვები როგორ უნდა...

**თამაზ ილმელი**

◉ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი 98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.